



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

OCTOBRE

1935—№ 118

დასავლეთკავკასიელი საქართველოს

ექტომბერი

1935 წ.

№ 118

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—წითელი ჟანდარმი.

გ. ქურული—კავკასიის კონფედერაც. ირგვლივ.

რ. ინგილა—ამხედრებული იტალია.

ექ. თაყაიშვილი—ბიბლიოგრაფია.

საქართველოს საკითხი.

ერთა ლიგის ირგვლივ.

უცხოეთის მიმოხილვა.

ს. ფინცსალავა—მშობლებო, შვილ. გელუბებათ.

ნაური—წერილი ამერიკიდან.

ს. შ-ლი—ფრანკ ფილილი.

ქართველები საფრანგეთში.

წერილი რედაქციის მიმართ!

წ ი თ ე ლ ი ჟ ა ნ დ ა რ მ ი

რომანოვების რუსეთი მთელი საუკუნე «ევროპის ჟანდარმს» ატარებდა მეტ-სახელად. ვენის კონგრესიდან მოყოლებული, 1815 წლიდან, ის ერთგულ დარაჯად უდგა ახლათ დაწესებულ საერთაშორისო სტატუსს, ისე როგორც ცალკე სახელმწიფოთა რეაქციულ რეჟიმს. იმის და მზგავსათ, თუ როგორის სიმკაცრით ებრძოდა შინაურ ხალხურ მოძრაობათ, პირველ რიგზე, პოლონელ, ფინელ თუ კავკასიელ ერთა აჯანყებათ, ცარიზმი ხეპრე მუქარით, ზოგჯერ სამხედრო ჩარევითაც—უნგრეთის აჯანყების ჩაკვლა 1848 წელს—ცდილობდა ყოველგვარ პროგრესულ ცვლილებათა აღკვეთას ევროპაში.

ცარიზმი უკვე არ არის, თიხის ბოქებზე დაბჯენილი ახმახი იმპერია დაამხსვრია გარეუმი ძალამ, ევროპამ თავისუფლათ ამოისუნთქა, ეგონა ლურჯი ჟანდარმის აჩრდილი გაჰქრა სამუდამოთ და... რას ვხედავთ? ის ისევე აიტუნა მის წინ! ფერი უცვლია, მხოლოდ არსებით წითელი ჟანდარმი გაცილებით უფრო ვერაგია, ფლიდი, საშიშარი. დღეს ის საპატიო სავარძელზედ ჩის ენევაში, გარს ახვევია ნაკლებ ტანის მნათობნი, და გაშმაგებით იცავს ევროპის სტატუსს, პირიდან დორბლებსა ჰყრის აბისინიის სასარგებლოთ! როგორ მოგწონთ ეს საერთაშორისო ჯამბაზობა?

სწორეთ ამ ჯამბაზობის დასაფარავათ წითელი ჟანდარმი მოდაზე იკაზმება, ახდენს სამხედრო, საპოლიციო, სამოქალაქო მოხელეთა იერარქიულათ

დაშტამპვას. იგივე ხარისხები, იგივე მუნდირები, ჩინ-ტემლაკები, რაც მიღებულია სხვა ქვეყნებში, რით განვირჩევი თქვენგან?—ეკითხება ის ამ ქვეყნებს—და ესენიც მიუგებენ უდარდელათ, არაფრითო. საბჭოთა კავშირი თანდათან უახლოვდება თანამედროვე სახელმწიფოს ჩვეულებრივ ტიპს—მსჯელობს საერთაშორისო პრესა—, საჭიროა მასთან დაახლოება, მისი ძალა გავლენის გამოყენება მშვიდობიანობის დასამყარებლათ...

არასოდეს ისე ნათლათ, ისე მკაფიოთ არ გამოჩენილა ამ მსჯელობის სიყალბე და უსაფუძვლობა, როგორც გასულ აგვისტოს კომინტერნის ყრილობაზედ. აქ ბრმაც დაინახავდა, რომ წითელი ჟანდარმი არ მალავს, პირიქით, საქვეყნოთ აფენს თავის ბნელ განზრახვებს. კომინტერნი და ყველა კომპარტიები სომ მისი მორჩილი ამსრულებელნი არიან, ის საჯაროთ აძლევს მათ დირექტივებს, თუ როგორ უნდა სძლიონ მტერი და მის ნანგრევებზედ როგორ უნდა ააფრიალონ წითელი ჟანდარმის დროშა. ახალი ლოზუნგი: ბრძოლა ფაშიზმთან და ომთან და ახალი ტაქტიკა: საერთო ფრონტი სოციალისტებთან და ბურჟუაზიასთან დემოკრატიის დასაცავათ—წარმოადგენს იმ ჯადოსნურ სერხს, რომელიც, თუ გასჭრა, მართლა შეაძლებინებს წითელ ჟანდარმს არა თუ თავი დაიცვას, იქითაც კი გადავიდეს იერიშზე.

ცარიზმს სიზმარშიც არ მოეზანებოდა ასეთი

ხერხი. მას ჰყავდა ბლომათ აგენტები თუ სამხედრო ჯაშუშები უცხოეთში, მისი დიპლომატები ინტრიგების ქსელს აბამდნენ, ბევრს არ დაიწყნია გარტივების როლი ბელგრადში დიდი ომის წინ, მაგრამ უცხო ქვეყნების პოლიტიკურ პარტიებში მოკალათება, მათი გამოყენება თავის მიზნებისთვის მიუწოდომელი იყო მისთვის. ეს წესი პირველად წითელმა ყანდარმა შემოიღო და, უნდა გავტყდეთ, ხეირობს კიდევ. მან შექმნა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, კომპარტიები ყველგან, ინახავს მათ და იმსახურებს ისე, როგორც მოეპრიანება. ცნობილ დორიოს, განდგომილ კომუნისტის, საჯარო შეკითხვები ამას წინათ საფრანგეთის კომპარტიის მიმართ აშკარათ ამხელს უკანასკნელის დამოკიდებულებას მოსკოვთან. მათი «პუმანიტე» და ცენტრალური კომიტეტი უშუალოდ ემორჩილებიან მოსკოვის ბრძანებებს; ერთი ნაბიჯის გადადგმაც, ერთი სიტყვაც არ შეუძლიათ მათ წამოიღულულდონ, თუ მოსკოვის დასტური არა აქვთ; ყველანი ჯამაგირზე იმყოფებიან და მზათ არიან თავის ქვეყანაც გასცენ, თუ უბრძანებენ.

ასეთი ბრძანება ხომ ლაზუნგი იყო კიდევ გუშინ: ჩვენი ერთად ერთი სამშობლო საბჭოთა რუსეთია, მას ვწირავთ ზვარაკად საკუთარ კაპიტალისტურ ქვეყანას, ომს აჯანყებად ვაქცევთ, ჯარს მოვუწოდებთ თოფი ჩვენს მთავრობას მიუშვიროს... აი რას განძახდნენ ისინი. რად ეპიკურებოდა მოსკოვის სპეციალურათ მოგზავნილი აგენტები და ჯაშუშები, თუმცა პოლპრედები, ტორგპრედები სხვას აბა რას აკეთებენ, როცა მის განკარგულებაში იყვენ მთელი პარტიები, მათი მეთაურები და უბრალო აგიტატორები? რამდენი იყო მაგალითი, როცა გულუბრყვილო მუშებიც კი აწვდინდნენ მოსკოვის აგენტებს სამხედრო გამოგონებათა მოდელებს, მზამზარეულ გეგმებს? მაგრამ, სანამ კომპარტიები პირწავარდნილ ბრძოლაში იყვენ სახელმწიფოსთან, არ ერიდებოდნენ ლალატს და თავიც კი მოქონდათ ამით, ხელი-სუფლებას ჰქონდა ასე თუ ისე საშუალება შორს დაეჭირა ისინი ისეთ დარგებიდან, სადაც ქვეყნის დასაცავი საიდუმლოება კეთდებოდა ან ინახებოდა.

სულ სხვაა დღეს. წითელი ყანდარმი ზავსა ჰკრავს სახელმწიფოსთან, კლასებთან, სოციალისტებს თავის ქსელში ითრევს, თვით ბურჟუაზიასაც და მზათა მთავრობაშიც კი შევიდეს! რას უნდა მოველოდეთ აქედან? საპატრიო კაზაკი კაშენი დღეს სენატორია, ხვალ შეიძლება მინისტრი გახდეს, როგორ შეგიძლიათ მინისტრისგან დაიცვათ ქვეყნის საიდუმლოება? ის ხომ დაესწრო კომინტერნის ყრილობას

და ფიცი დასდო პირნათლათ შეასრულოს მისი წილული და უხილავი დადგენილებანი. მამ შედეგი აშკარაა. დღეს საფრანგეთი ვითომ მეგობრობს საბჭოთა კავშირს, მაგრამ ხვალ თუ დაშორდენ ერთმანეთს, ცხადია, ვის დაიცავს საპატრიო კაზაკი.

ეს ჯოჯოხეთური მუშაობა, რომლის მრავალფეროვნება ამოუწურველია, საერთაშორისო მასტაბით სწარმოებს; ერთგან ის ნოყიერ ნიადაგს პოულობს, მეორე ადგილას დაბრკოლებებს ელობება, მაგრამ, რაც ყველაზე საყურადღებოა,—წითელი ყანდარმი გაათქვეცებული ენერგიით ეწევა მას და მიღწეული შედეგებიც უკვე ისეთია, რომ მას შეუძლია კმაყოფილი იყოს. განა ერთი ასეთი მიღწევათგანი არაა ის დოკუმენტი, რომელიც გამოაქვეყნეს დანმა და სხვებმა, მეორე ინტერნაციონალის მდივნის ადლერის ლოცვა-კურთხევით? რას გვეუბნება ის? თუ ომი ატყდა, ყველა ქვეყნის მუშათა კლასი გვერდში უნდა ამოუდგეს წითელ ყანდარმსო! თავხედობა უფრო შორსაც მიდის: თვით საბჭოთა კავშირის არარტუს ერთა მუშათა კლასმაც იმავე ყანდარმისთვის უნდა დასდოს თავიო! არ დაიჯერებთ, მაგრამ ეს ასეა, სექტემბრის ნომერში დაწვრილებით იყო მოცემული ამაზე ცნობა.

ის კი არაა გასაკვირი, რომ წითელი ყანდარმი პიტლერის გერმანიისგან მოელის ხიფათს, ეშინია არ იგემოს მისგან ლურჯი ყანდარმის ხვედრი და ამიტომ ცდილობს, ათასგვარი ბნელი საშუალებით თავი დააღწიოს მას, არამედ—ხალასი ფაქტი, რომ ბევრი სახელმწიფო მოღვაწე და მთავრობანი ამ მახინციების მსხვერპლი ხდებიან. რასიზმთან ბრძოლა, როგორც უებარი წამალი მშვიდობიანობის სახსნელათ, შეიძლება, ძალიან მჭრელი იარაღია მოსკოვის ხელში, და ეს კიდევ დაინახეთ, მაგრამ როდის იყო, რომ ნორმალური სახელმწიფოები ხელმძღვანელობდნენ ასეთი დებულებით? განა ბოლდვინმა და ჰორმა არ განაცხადეს კიდევ გუშინ საჯაროთ, რომ სხვა ქვეყნის შინაურ რეჟიმთან ბრძოლა მიუღებელია და დაუშვებელი ინგლისის მთავრობისათვისო? ეგ ხომ მოსკოვის ორმაგ ბუხპალტერის მამარჯვება იქნებოდა, სამოქალაქო ომის გაჩაღება, მსოფლიო რევოლიუციის ქადაგება! ასეთ მოლიპულ გზაზედ დადგომა დიდ განსაცდელს უმზადებს ზოგიერთ სახელმწიფოს.

საკმარისი იყო საფრანგეთის დაახლოება საბჭოთა კავშირთან, რომ უკანასკნელის გავლენის ქვეშ ამოეყოთ თავი ჯერ ბალკანეთის ბლოკს და შემდეგ მკირე ანტანტას. თითქო ვუბრუნდებით ომის წინა ხანას, როცა ცარიზმი თარეშობდა ამ ქვეყნებში და



ამზადებდა ახალ ახალ კონფლიქტებს თავის დაპყრობითი ზრახვების გასანადგებლათ. ბოლშევიზმი იშვენებს ძველ მფარველობითს კილოსაც, პირდება მეზობელ სახელმწიფოებს დაცვას პანგერმანიზმისაგან. ის ვერ ახერხებს ქრისტიანობის დამცველად გამოვიდეს, რადგან ოსმალეთი მისი მეგობარია, მაგრამ პანსლავისტური პანგები უკვე გაისმოდა მოსკოვში ბენეშის მიღების დროს. რის მომასწავებელია ყველა ეს, თუ არა დაბრმავების, შენივე ხელით შენი დასაკლავი დანის გამოჩხრეკის?

ევროპაში რომ დიდი სიძნელენი არსებობდნენ, ეს ცხადია, მაგრამ ვინც ფიქრობს მათ დაძლევას მოს-

კოვის დახმარებით. უთუოთ ვერ ამჩნევს, ან არ უნდა შეამჩნიოს, რომ ეს ნიშნავს დაგროვილ ასაფეთქებელ მასალასთან ჩირაღდანის მიკარებას.

როდის აახელენ თვალს ევროპის სახელმწიფო მღვდელნი და მთავრობანი? გაიგონეს თუ არა მათ ნიურნბერგის გამაფრთხილებელი ხმა? დააფასეს თუ არა ვაშინგტონის და ტოკიოს პროტესტები? ეტყობა, არა. ენევეაში არაფერი ისმის ამაზე, სამაგიეროთ გულდასმით უსმენენ ლიტერატურას! წითელი ეანდარში დაუსჯელათ ამზადებს ევროპის ხანძარს, ლიგის წევრები კი ცდილობენ აფრიკის ერთ კუთხეში ცეცხლის ჩაქრობას.

კავკასიის კონფედერაციის კითხვების იჩგვლიზ

(საკულისხმად პარალელები)

გადავიდეთ იმ საგარეო პოლიტიკის კითხვების განხილვაზე, რომელიც თურმე ერთ მხარეზე სომხებს აყენებს და მეორეზე კი დანარჩენ კავკასიელებს. რატომღაც ავტორი თავის თავზე იღებს მოვალეობას, რუსეთი დაარწმუნოს, რომ სწორედ სომხები არიან რუსეთთან კეთილად განწყობილნი და რომ მათ საწინააღმდეგოთ ისინი ერევიდან ერთ სალდათსაც არ დასძრავენ. რუსეთთან კეთილი მეზობლური განწყობილების დამყარება განა ვისიმე პრიველეგიას შეადგენს? ჩვენი კონფედერაციული პაქტი სწორეთ იმას მოწმობს, რომ რუსეთთან და სხვებთანაც კავკასიის ერებს სურთ იმყოფებოდნენ მუდმივად მშვიდობიან განწყობილებაში. ბნ სონტაჟარიანის განცხადებაში ორიგინალობა, შეიძლება, მხოლოდ მაში იყოს, რომ სომხები აღარა სვამენ იმ სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხს, რომელიც ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებშია. აქ უნდა გულახდით ითქვას, რომ კავკასიის არა სომეხ წრეებში ბევრს სწორეთ ასეთი ეჭვი ებადებათ და დასძენენ კიდევ, რომ რუსეთისადმი ასეთი ერთგულობა სომხებისა უანგარო არ უნდა იყოს.

აი რა სტრიქონებსა ვკითხულობთ ბნ მირ იაკუბის წიგნში: «სომხების თვალში კავკასიის სასომხეთო მხოლოდ პატარა ნაწილია იმ სომხეთისა, რომლის მოსაპოვებლად მათ სურიათ რუსეთის დახმარება და ამიტომ მათი ინტერესი არ არის რუსეთის დანდურება კავკასიის საკითხების გამო... სომხებისათვის ის დიდი სომხეთია ძვირფასი, რომელიც ზღვიდან-ზღვამდე იქნება ფართეთ გადაქიმილი და ამიტომ სომხეთის სახელმწიფო მღვდელაწეთ არასურთ მათი ქვეყნის ბედი დაუკავშირონ კავკასიის სხვა ერების ბედსაო».

ერთის შეხედვით ეს მოსაზრება მართლაც ძლიერად მოჩანს: ვერავინ დაუშლის სომხობას თავიანთ დიდს სამშობლოზედ ფიქრსა. მაგრამ იბადება კითხვა, რაში უნდა დაუშვალს კავკასიის სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დიდ სომხეთზედ ფიქრსა?

მაშ, რაშია საქმე?

ნუ თუ მართლა და იმაში რომ, ვისმე შეუძლია იწამოს, რომ «მადლიერი» რუსეთი დაეძგერება ოსმალეთს, წაართმევს მას ძველ სომხეთს და ძღვნად სომხებს მიართმევს, რათა უკანასკნელთ იქ დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაიარსონ?!.. რუსეთი ამნაირს საქმეს არც სომხებისთვის იზამს, არც ქართველებისთვის და არც სხვა რომელიმე ხალხისათვის. ამგვარი ფიქრი სრულობით არა რეალური მიდგომაა დიდი კითხვისადმი. განა დასავიწყია სულ სხვა გვარი პოლიტიკა რუსებისა, რომლებმაც წართმევით და წაგლეჯით ბევრი რამ ზიანი მოგვაცენეს ყველას საერთოთ?

«ერზერუმსკოე კანაჩესტოლს» რუსული პროექტიც ხომ ყველას უნდა გვახსოვდეს: ამ პროექტით ძველი სომხეთის მიწები რუსების მიერ უნდა ყოფილიყო დასახლებული! არც ის არის დასავიწყი, რუსებს ლოზუნგად რომ ჰქონდათ ხმარებული: «ჩვენ, რუსებს, სომხეთი უსომხეთოთ გვინდაო». და მათ ამას კინაღამ მიადწიეს! ეს ლოზუნგი მხოლოდ სომხებისთვის არ იყო გამოგონილი. ჩვენ, ქართველებმაც, ბევრი რამ ვიწვინეთ მაგ ცინიკურ გულახდილობით აღიარებულ მორალიდან!

ნუ თუ არ უნდა დავინახოთ ის, რაც ამ უამად ჩვენს გარშემო ხდება? ყოველი სახელმწიფო პიროვით ერიდება ახალ ომებს, რადგან ამ დროინდელ ომებში გამარჯვებულიც დამარცხებულია. ნუ თუ რუსეთს, როდესაც იგი ბოლოსდაბოლოს დამყარდება რომელსამე ფარგლებში, სხვა საქმე აღარა ექმნება რა ვასაკეთებელი, რომ სომხების გულისთვის ოსმალეთს დაეცეს და ნადავლი სომხეთს უფეშკაშოს?! ხომ მოსალოდნელია, რომ, ერთიც ვნახოთ და თვით რუსეთშიაც კი იჩინა თავი პოლიტიკის ახალმა მიდრეკილებამ და იქაც კი იგრძნეს, რომ ძველი ომების და დაპყრობების გზით სვლა მათ კვლავ დაამხობს. ამ შემთხვევაში ხომ ძნელად დასაჯერებელია, რუსეთმა სომხების თუ სხვების გულის მოსაგებად ომი დაიწყო ოსმალეთთან. ჩვენ სრუ-



ლიად დარწმუნებულნი ვართ, რომ სომხების პასუხისმგებელმა მოღვაწეებმა ეს სხვებზედ უკეთესად იციან და ამნაირი ფანტასტური გეგმის გულისთვის ისინი არ უბრუნებენ ზურგს თავის კავკასიელ მეზობლებს.

უფრო გაუგებარია ხსენებული ავტორის მიერ წამოყენება ისეთი კითხვების, რომელნიც ან არ არსებობენ რეალურად, ან რაღაცა ბუნდოვან მისწრაფებათა სახავენ. აბა რაში უნდა დაუშალოს ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, ან კავკასიურ კონფედერაციას ასეთმა საკითხებმა: აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რომელნიც ისეთივე საქართველოს მიწებია, როგორც ახალციხის, ახალქალაქის და სხვა მაზრები! მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა,—ეს ხომ აკვანია საქართველოს უძველესი კულტურისა! მაგრამ ერთის წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ეს კითხვები სწორედ არსებობენ რეალურად; ეს ხომ ჭეშმარიტებაა, რომ დიდი წილი ამ საკითხების სომხებს სრულებით არ შეეხება. მაგალითისათვის აბხაზეთი ავიღოთ: ქართველებს და აბხაზებს ათასი წლებით უცხოვრიათ ერთად; ისინი თვითონ მორიგდებიან და არავის შუამდგომლობას არ მოითხოვენ... იმ საკითხებში კი, სადაც სომხების რწმენით მათი საკუთარი ინტერესებია ჩაბმული, ვიმეორებთ, მათი მორიგებით და არბიტრაჟის საშუალებით მოწყობა სულ ადვილი საქმეა...

აღბად იმ მიზნით, რომ ყველა სადაო კითხვები იყოს ამოწურული, რომელიც საქართველოს, ვითომდა, უშლის თავისი დამოუკიდებლობის აღდგენას, ხშირად სწორედ სასაცილო წვრილმანობაც კი მოყავთ. თურმე ამისთანა ხელშემშლელ გარემოებად აღიარებულია ისიც კი, რომ ძველმა რუსეთის ადმინისტრაციამ ტფილისში რაღაც ხარა-ხურა შენობები ააგო და მათ ერქვა «ზაკავსკიე», მაგ. ქალების საბებიო ინსტიტუტი, «მიხაილოვსკაია ბოლნიცა», ობსერვატორიით მონათლული მეტეოროლოგიური სადგური და სხვა ამისთანა ძველი აგურით ნაგები ხუხულები. ვფიქრობთ ამებლის აღნიშვნა არც ღირდა და ისინი პასუხსაც არ ითხოვენ...

აბა ვინ გაიფიქრებს სერიოზულად, რომ ეს დაძველებული და მეტ წილად დასანგრევად გამხდარი შენობები შესძლებენ, უთანხმოება ჩამოაგდონ სომხებსა და ქართველებს შუა?!.. გულზედ ხელის დადებით და მასთან სიამოვნებითაც უნდა აღვიაროთ, რომ ბ. ხონთქარიანმა ვერც ერთი ისეთი დებულება ვერ წარმოადგინა, რომ სომხების კავკასიის კონფედერაციაში შესვლას შეუძლებლად ხდიდეს.

კითხვები უფრო რიდიკალურად დაუყენებია სომხურ განეთ «არაჩა».ს. კავკასიის ერებს იგი ასეთ მიმართვას უთვლის: «ცხადია... სომხებს არ შეუძლიათ, არც თქვენი წინამძღვი იყოს, როგორც წევრი კავკასიის ოჯახისა, არც რუსეთის. თქვენ რუსეთზედ გვითითებთ, როგორც საერთო მტერზე, ჩვენ კი მას უპირდაპირებთ სისხლიან თურქს, როგორც ვერაგ მტერს. მოდით, ყოვლის უწინააღრეს, თურქი დავსძლიოთ, მერე კი მივადგეთ რუსეთს» (იხ. «დამ. საქ.» № 103).

მეორე ადვილას, ეს პატივცემული სომხური განეთი სრულიად კონკრეტულად წარმოგვიდგენს მართლაც და, იმ საშინელ უბედურობას, რომელიც დღეს სომხის ერს უდიდეს ტრაკედიას შეადგენს: «გარედან ადვილია, გვითვლის იგი კავკასიის მეზობელ ერებს, უცქიროთ შეიდ-რვა ასიათასს სომხელტოლვილს, უბნოს, თავმიუსაფარს, რომელნიც ათასგვარ შევიწროებას განიცდიან». ჩვენ სავესებით გვესმის სომხეთის ეს მწარე სინამდვილის საშინელება, მით უფრო გვესმის, რომ არც ერთ კავკასიის ერს თავის წარსულში, და აწმყოშიც, არ ჰქონია უკეთესი ბედი. ავიღოთ, მაგალითისთვის, კავკასიის მთიელთა ისტორია. განა დასავიწყია მილიონზედ მეტი მთიელთა მოსახლეობისა, რომელიც რუსეთის მიერ, სისხლის ღვრისა და ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ოსმალეთში იყო გადარეკილი, რათა მათ კულტურასან და ნაციურ მიწებზე რუსები დაესახლებინათ? ალბად ჩვენ მოძმე სომხებსაც ახსოვთ რუსეთის იმპერატორების ის ვერაგობა, რომელთა ბრძანებით მოხდა გაცრეება საქართველოს ყველა იმედებისა და როდესაც, საპროვოკაციოთ გამხდარმა რუს-საქართველოს ტრაქტატმა, საშინელი აკლემბა-ახრება დაატეხა საქართველოსა თავზედა? იმ სისხლიან ამბებლის დროს საქართველოს მოკავშირე რუსეთი, ან არხეინად შესცქეროდა ჩვენი სამშობლოს აკლემბას და ან ცხარე ბრძოლის დროს მოულოდნელად სტოვებდა მას, რათა ჩვენი სახელმწიფო ისე დაუძლეურებულყო, რომ სულ ადვილი გამხდარიყო რუსეთის მიერ მისი უბრძოლველად დაჭერა შემდეგში. თავისი გუბერნიებად გამოცხადება. სწორეთ რომ ვერაგულად ექცეოდა ოსმალეთი ჩვენ მოძმე სომხებს, მაგრამ ხომ არც მთიელებისა და საქართველოს შვილთა ეს დაღვრილი სისხლია დასავიწყია!..

განა ცოტა სისხლი დაიღვარა ქართველ მუსულმანთა ახალციხ-ახალქალაქის მხარეს, როდესაც ისინი პასკევიჩმა ძალდატანებით აბარგა სამშობლო ქვეყნიდან და გადარეკა ოსმალეთში, მათ მაგიერ კი საქართველოს მიწა-წყალზედ დაასახლა ოსმალეთის სომხობა, იქიდან წვითა და რბევით გამოქცეულნი? ამ მაზრებში სომხის მოსახლეობა რუსების ხიშტებმა გააჩინა და ამავე ხიშტებმა გააჩინა ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი. განა ამ შემთხვევაში რუსეთის უხეში ძალა უფრო რაინდულად მოიქცა, ვიდრე ოსმალეთის ხიშტი მოექცა ქართველებსაც და სომხებსაც?! თუ ოსმალნი ხალხის აწიოკებასთან ერთად სცარცვავენ ეკლესიებს და აწამებდენ სომხის სამღვდელოებას, განა იმპერატორ ალექსანდრე პირველის, კურთხეულის, სარდლები არ იყვნენ, რომ ყაზახებს უბრძანეს და ორი ქართველი არქიეპისკოპოსი პირ გაკერილ ტომარებში ჩაახჩეს და აწვილეს? ამნაირი ამბები რომელი ერთი უნდა გავახსენოთ ჩვენ მეზობელ სომხებს, რომ მათაც ჩვენთან ერთად ვათქმევინოთ: რალა ოსმალს დარბევანი და რალა რუსეთის მიერ კავკასიელების ის აწიოკება!

სწორედ ამიტომ არის ძვირფასი კავკასიის ერების კონფედერაციით დაკავშირება, რომ ჩვენ ყველას ბევრი რამ უსიამოვნო მოგვაგონდება, როგორც

ჩრდილოეთის ისე სამხრეთელ მეზობლების მხრით-სადაური თქმა, ჯერ ოსმალს დავეძგეროთ, მერე რუსეთსაო? ჯერ ერთი რომ, სუსტნი და განცალკევებულნი ვერავისაც ვერ დავეძგერებით... ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ შესაფერი პოლიტიკური სიტუაციები ვისარგებლოთ და ანგარიში გასწორებზე ან შურისძიებაზე დი არ უნდა ვფიქრობდეთ, არამედ საერთო ძალების შემოკრებაზე, რათა დაუმყაროთ ჩვენს ერებს უკეთესი მომავალი და ბედი, ისე რომ შემდეგში მაინც სხვების ეგოისტური პოლიტიკის სათამაშო ბურთად აღარ გავხდეთ. როდესაც ხელსაყრელი მომენტი დგება, ჩვენ ყველას ერთსულთვანად უნდა გვესარგებლნა ის და ამ შემთხვევაში სომხების, თუ სხვა რესპუბლიკების განხედ დგომა, რომ იტყვიან, სწორედ, მომაკვდინებელი ცოდო! კავკასიის ფარგლებში დამოუკიდებელი სომხეთის აღდგენა თუ ხელის შემწყობი ფაქტორი არ არის, იგი, ყოველ შემთხვევაში, არც ხელის შემშლელია სომხეთა იმ ზრახვათა განხორციელებისათვის, რომელიც კავკასიის ფარგლებს სცილდება და მისი ტერიტორიის გარეშეა...

რვაასი ათასი სომხის სამშობლოს გარეთ დარჩენა, არამც თუ მხოლოდ დიდი უბედურობაა, ამავე დროს იგი სამარცხვინოა კაცობრიობისათვის, რომლის წინ იშლება ეს საზარელი სურათი და შევლა-

ზედ არავინ ფიქრობს. ეს ასეა, მაგრამ იმ უბედურობაში ჩაცვინულთ რა ზიანს მოუტანს ცლა, ათ-თერთმეტ მილიონ კავკასიელ მცხოვრებლებს შეუქმნან ისეთი მდგომარეობა, რომ ერთ დღეს ესენიც არ განხდენ იმ ლტოლვილთა ყოფაში. სრულობით დაუშვებელია და ეს არც წარმოსადგენია, რომ კავკასიის ოთხ რესპუბლიკას უთხრას ვინმემ, რადგან თქვენს გარეშე სხვანიც განიცდიან წვალება-შევიწროებას, არ მოგცემთ საშუალებას, გააუმჯობესოთ თქვენი ბედი, მანამ ყველა დევნილთა მდგომარეობა არ იქნება ერთბაშად შეცვლილი... ამისი თქმა სავსებით დავმსგავსებოდა ერთ ბოროტ ანდაზას: «მეც წავხდი, შენც წავახდინე, —ქრისტე აღსდგა გვიხაროდეს!»! ამგვარად კითხვის დაყენების შეუძლებლობას სხვებზედ უკეთესად თვით სომხის მოღვაწენიც გრძობენ. ამის საბუთს ვაზ. «არაჩის» შემდეგი სიტყვები გვაძლევს: «... თვითუფელ კავკასიელ ერს აქვს საკუთარი ნაციონალური მოთხოვნილებანი და ინტერესები, მეტად რთულნი და მძიმენი, — მიუხედავად ამისა არის შესაძლებლობა ამ ერთა შეთანხმების, რაიმე *modus vivendi*-ის გამოახვის». ჩვენ სრულიად ვინაირებთ ჩვენ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს...

(შემდეგი იქნება)

გიორგი ყურბული.

ა მ ხ ე ლ რ ე ბ უ ლ ი ი ტ ა ლ ი ა

ამ თემაზე წერა ყოველთვიურ გამოცემაში ბევრ სიმწელეს შეიცავს: გარემოებანი ისეთის სისწრაფით მიმდინარეობენ და ცვალებადობენ, რომ სრულებით შეუძლებელი ხდება საქრონიკო კარესპონდენციის სახით განსაზღვრა საგნისა, მით უმეტეს დინამიკური მისი შეფასება; თუმცაღა საემიგრაციო პალიტიკური ყურნალი ასეთს მიზნებისათვის არც არსებობს.

როცა ეს წერილი ითხზება, ომი ჯერ კიდევ ფორმალურათ არ არის გამოცხადებული, მაგრამ საომო მოქმედებანი უკვე გაჩაღებულია, იტალიის ჯარმა, ათეული კილომეტრით გადალახა აბისინიის საზღვარი, რასაც მოჰყვა ქალაქ ადუას დაცემა, იმ შესანიშნავ ადუასი, სადაც 39 წლის წინათ ნეგუს-ნეგესტი მენელიკის ფეხშიშველა «ასკერებმა» სასტიკათ დაამარცხეს იტალიის საუცხოოთ შეიარაღებული ჯარი. ორმოცი წელიწადი ატარა იტალიამ ეს სამარცხვინო დამლა, სამარცხვინო მით უფრო, რომ ეს იყო ისტორიაში პირველი შემთხვევა შავების მიერ თეთრების დამარცხებისა. ამ ამბის გახსენება იტალიელებს მეტისმეტათ ეხამუშებათ; ამბობენ, ერთხანად აღძრული იყო კითხვა ადუაში დახლცილთა სახსოვრათ რომის სადგურ ტერმინთან აგებულ ძეგლის მოხსნისათვის! გასულათ მუსსოლინი ერთერთ თავის სიტყვაში შეეხლა ამ «უბედურ შემთხვევას» და მთელი ბრალი «მასსონერიისა და პარლამენტარიზმის ხრიკებს» აპკიდა!

გარნა ეხლანდელი საომარი მოქმედებანი, რა თქმა უნდა, სარევანშო მიზნებით არ არიან გამოწვე-

ული; არავინ დაიჯერებს იმასაც, თითქოს იტალიის მმართველებს *Deus ex machina*-თ ჩაენერგათ თავში სათნო ჰაზრი ეთიოპთა შორის ცივილიზაციის შეტანისათვის, მუნ მონობის აღმოფხვრით პირველ ყოვლისა. ყველაფერი ეს იწერებოდა და ითქმოდა იმ ერთად ერთი მიზნით, რომ დიდი ხნით განმზადებულსა და დაწვრილებით შემუშავებულ სტრატეგიას სამისიონერო ელფერი მისცემოდა და თავდასხმასაც ერთგვარი მორალი ჩასწვეთებოდა.

იტალიის ექსპანსიისა და მის საიმპერო ამოძრავების «ინსპირატორი» უნდა ვეძიოთ სრულებით სხვა მისამართით: მორალი და ებრვე სხვა «მაღალი მატერია» არაფერ უშაშია იქ, სადაც ყოფაქცევა გამოწვეული არის ეკონომიური საქირებით, იმ საერთო მატერიული მიზეზებით, რომლებიც მკირე და უხეირო მიწაწყალზე მობინადრე 44 მილიონიან დაწინაურებულ ერს აიძულებენ არამც თუ წარმოებისა, ხშირათ ელემენტარულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ სავანთა გარედან შემოტანას. ამიტომ იყო, რომ ეგზომი აურზაური გამოიწვია აქ ყენევიდან მოსულ მუქარამ შესახებ საქციების შესაძლებლობისა, უკეთუ იტალია არ მოიშლის წრეს-გადასულ აგრესიობას. სანქციები მოასწავებენ ომსაო, —წამოიძახა მუსოლინმა, ომი კი ჰნიშნავს ევროპის რუკის ხელახალ შესხვაფერებასო!.. ისინი, ვინც ლამობენ შეაფერხონ იტალიის წინსვლა აფრიკაში და წინააღუდგენ მის უფლებათა დაცვასა და განმტკიცებას, ებრძვიან პირველ ყოვლისა ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებსო! მთავრობის უფროსმა



ისიც განაცხადა, რომ იტალიაში არ დარჩა გადაუმუშავებელი არც ერთი ადგილი მიწისა, რომ მოსახლეობას არა ჰყოფნის ნაყოფი აგრეთვე სურსისა, ხოლო არცა ჰსურს შემოიღოს ამოიხრცოს!..

ღვინობისთვის ორს საღამოთი იტალიაში ადგილი ჰქონდა წინდაწინვე გამოცხადებულს ეგრეთ წოდებულ «ადუნაჩა ჯენერალე»-ს. ამ მცნებას კარგათ გამოჰხატავს ქართული სიტყვა—თავმოყრა. წინამძღოლი ლაპარაკობდა ვენეციის სასახლის აივანიდან და მას უსმენდა მთელს იტალიის დაბა-ქალაქებში დიდ მოედნებზე სირენების გამოხმოვანი ოცი მილიონი ხალხი. მუსოლინის საჯარო მიმართვა, თავის თავად ცხადია, არ იყო ექსპრომტათ წარმოთქმული, პირიქით მისი ყოველი სიტყვა უთუოთ გამოანგარიშებული და შეწონილი იქნებოდა, ამიტომ ასეთი გაოცება გამოიწვია მისმა ფრაზამ: «სანქციონისტების მილიტარულ ზომებს იტალია იმავე სახით უპასუხებს, ხოლო ომს—ომითვე»...

ამ სიტყვებით აღმოისახა იტალიის გარდაწყვეტილება ომისათვის, აფრიკით შეიზღუდებოდა იგი, თუ პირიქით გაფართოებით სხვადასხვა ადგილში იჩნება თავს.

ფაშისმის მეთაურმა, ბედის სასწორზე დასდო თავისი ქვეყნის მყობადი! მას, საფიქრებელია. ისიც გამოხომილი ექნება, რომ ასეთს შემთხვევებში შესაძლებელ მარცხს მსხვერპლად რეჟიმიც ეწირება...

არ შეიძლება ითქვას, რომ იტალიის «აქციები» ერთობ მაღლა მდგარიყვნენ ენევის საკრებულოში: მასუკან, რაკი გამოირკვა, რომ დიდი ბრიტანეთი ცანუკითხავად ვეტოს დაადებს იტალიის ყოველს ცდას ერთა ლიგის გარეშე, ან—მით უფრო—მის წინამდევ იმოქმედოს აღმოსავლეთ აფრიკაში ჰეგემონიის მოსახვეჭათ,—დანარჩენი სახელმწიფონიც და—პირველ რიგში ისინი—, რომელნიც ინგლისის პირდაპირსა, თუ გადაკვრით გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ასევე მოითხოვენ ყოველ საერთაშორისო კონფლიქტის ერთა ლიგის ფარგლებში ამოწურვას.

დეტალებზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთი გარემოების აღნიშვნა მაინც საჭირო ხდება: იტალია-აბისინიის დავის დაწყებიდანვე ყველას ანტერეგებდა კითხვა, თუ რომელ მოქიშპე მხარესკენ გადაიხრებოდა საბჭოთა რუსეთის თანაგრძობა. რუსეთის განუთები საზოგადოთ გაუბრუნდნენ ამ საგანზე კონკრეტულად წერას, და მართლაც ბოლშევიკებისათვის არ იყო მაინცადამაინც ადვილი ამ პრობლემის იოლათ მოვლა: მესამე ინტერნაციონალის მთავრობისათვის მეტათ საჩოთირო უნდა ყოფილიყო ფაშისტურ სახელმწიფოსადმი საქვეყნოდ სიმპატიის მიძღვნა, მეორის მხრით არ იყო ადვილი პირველყოფილ სახელმწიფოს გამოქომაგება, რომელიც მასთანავე მონობის სისტემაზეა აგებული. ხოლო შემდგომ, როდესაც გამოირკვა, რომ ევროპის სოციალისტები და საზოგადოთ მემარცხენე წრეები საესებითა და გადაჭრით აღიმართნენ მათთვის ოდიოზურ ფაშისტურ იტალიის წინამდევ, ამით უკვე მოსკოვის მთავრობის ყოფაქცევაც გადაწყდა, მით უმეტეს, რომ ამასობაში სხვადასხვა სახელმწიფოებში ბოლშევიკების პირდაპირი კარნახით უკვე მო-

ეწყო მედიდური «საერთო ფრონტი», ანუ არსებითად, ის ლეგალური ორგანიზაციები, რომლების შექმნას მოსკოვმა დიდათ შეუწყო ხელი. ამის შემდეგ გასაოცარი აღარ იყო, როცა ლიტვინოვმა ერთა ლიგაში განაცხადა, რომ იტალია-აბისინიის კონფლიქტში საბჭოთა მთავრობისათვის არ არსებობს სხვა მომენტი, თვინიერ დაუფარავი. იმპერიალისტური განზრახვებისაო.

უნდა ითქვას, რომ რუსეთ-იტალიის დამოყვრების წინაწლების პათოსიდან აქ ისედაც ნატამალი ოდნავ იყო დაშინილი და ეხლა კი, როდესაც ფაშისტური სახელმწიფო ჰგრძობს მის საიზოლაციოთ აყუდებულ საერთაშორისო მუქარას, გასაგებია, როცა ის მტკივნეულათ გულთან ახლო იღებს ყოველ გამოძახილსა და აქტს მისთვის ამ პირველხარისხოვან საკითხში.

ლიტვინოვის დეკლარაციას იტალიამ გაანჩლებული აღშფოთებით უპასუხა. თითქმის ყველა განუთებმა მეთაურით დაჰმგეს კომუნისტების თაღლითური მატრავეცობა. თუ უწინ განუთები ლიტვინოვის ისე არ ახსენებდნენ, რომ არ მიემატებინათ «მისი აღმატებულება», ეხლა მის ფსევდონიმს ზოგან ეკვრა «ვალლანი», ზოგან «ფილკენშტაინი», ერთს განუთში კი ის აღნიშნული იყო «ვილაც ბოლშევიკათ»...

მოსკოვის დესპანს ცოტათი რომ შეეწუხებინა ტვინი, უტიფარ ფრაზის წამორშობისაგან შეიკავებდა თავს. მაგრამ ლიტვინოვის ლილაში გავლებული სინიდისი რას დაგიდევს მართებულობას! ის ურიგო მიაწაფე იქნებოდა ლენინისა, რომ მორიგათ არ მიმოეფანტა სიმეყრალე! ბეცსა და გულუბრყვილო პოლიტიკოსებს ცოტაჯერ ხომ არ გადუყლაპავთ ბოლშევიკების თავგნდობა: რა უშავს, აწიც გამივო, უთუოდ ფიქრობდა ლიტვინოვი, ხოლო ჰქუაში ის აღარ შეუშვა, რომ ბრანზმორეული იტალია არ დაიყოვნებდა გამოსროლილი წუმპე უკანვე ყბაში ეთხლიშა!

და აი აქ ქვეყნიერებას კიდევ ერთხელ აღუდგინეს მესხიერებაში ბოლოყამს თითქოს მივიწყებული საკითხი—საერთაშორისო ვალდებულებისა, მორალური სიფაქიხისა, უფლებრივი დიდი წონისა! საკითხი—საკაცობრიო სინიდისის რეგულატორად მოვლინებული დუხჭირი ბედის მიერ: საქართველო!

ვინა გვდებს ბრალს იმპერიალიზმში? შეუძახა იტალიამ სალახანა მოლაყბეს: ბოლშევიკური რუსეთი, რომელმაც მონობის უღელი დაადო საქართველოს და დღესაც იქ ძალმომრებოთა და ტერორით ბატონობსა?! უძველეს სახელმწიფოს სუვერებულ უფლებათა მიმტაცებელი ხმაგანაბული უნდა იყოს, როცა კითხვა ეხება სხვათაზედა გალაშქრებასა და დაპყრობას.

ასეთი ტონი უჩვეულოა იტალიურ პრესაში: ყოველს შემთხვევაში ოთხი უკანასკნელი წლის მანძილზე აქ არ ეხალისებოდათ საბჭოთა მთავრობის მუხანათური პოლიტიკის გამოძქავენება. მუსოლინიმა თავის სამფლობელოში ჩაკლა კომუნისმი და ამითი დაქმაყოფილდა; მას არაერთგზით განუცხადებია, რომ რუსეთის შინაწყობილებას ფაშისტური



ხელისუფლება კრიტიკურად არა სდებს მასთან დიპლომატიურ მიმართებაში. ეტყობა აუცილებელი ყოფილა საერთაშორისო აზლა და არეუდარევა, რომ შესაძლებელი ქმნილიყო მოსკოვის მახინჯი სახის დანახვა და შეცნობა! ჰგონებდნენ მსოფლიო პოლიტიკის «არხონტნი», რაფრივ შემცდარი და მანებებელი აღმოჩნდა მათი პროგნოზი, რუსული ბოლშევიზმის ლოკალიზაციისა?!.. დაეუცადოთ, იქნებ სხვათაც აღეხილოთ თვალნი და შეეხაროთ მხაკვართან თანამგზავრობა... იქნება მიიწურებინა დღენი, როცა ძალი აშვებულია, ქვა კი დაბმული?!

იტალიაში პირველ გამარჯვებებს დღესასწაულობენ და მმართველ წრეებში კიდევაც დაიმედებულნი არიან, რომ ომის შემდგომი ეტაპებიც ასეთივე ნიშნით ჩაივლიან.

ამვე დროს უნებავში ცა იკუმშება!..

იტალიას მომხრენი ეცლებიან: ერთა ლიგა მშვიდობიანობის დასაცავად არის მოწოდებული! იტალია თავდამსხმელია, ეთიოპია—თავდამცველი, მონჩივანი.

აქ ოცნებობენ სახელმწიფოთა ახალ დაჯგუფებაზე. ფრანგებით აღტაცებული არიან. საფრანგეთის საელჩოს წინ სამეგობრო დემონსტრაციები ეწყობა! ყურადღების ღირსი კია, რომ ფარნეზეს შესანიშნავ სასახლეში არც ერთი სარკმელი იხსნება და არც არავინ ესალმება «ე ვივა ლა ფრანჩა» ს შემძახავ ფაშისტებს. მე დიდი ხანია ვცხოვრობ საფრანგეთის საელჩოს მეზობლათ და ამჟამინდელ ამბების შემყურეს უნებლიეთ მაგონდება წინა წლების დემონსტრაციები: იმ ხანებში დემონსტრანტებს არ

უშვებდნენ ფარნეზეს მოედანზე და ისინი შორი-ახლოდ გაჰკიდდნენ: «აბბასლო ღრანჩა»—ძირს საფრანგეთი!—ვინ გააკვლევს დიპლომატიის ხევეულებს?!

იტალიელებს ეზრდებათ სიმპატია გერმანიისადმიც: მოსწონთ მისი შეუპოვარი და მხნე მოქმედება თვის უფლებათა დაცვასა, თუ აღდგენაში. ხშირათ იგონებენ გერმანიის გასვლას ერთა ლიგიდან და ამართლებენ მას: როგორ აიტანდა თავმოყვარეობის შებღალავსა და დამცირებას განათლებული პირველხარისხოვანი ერიო! მოსალოდნელია, სულ ახლო მომავალში ასეთი არგუმენტები იტალიამ სათავისოთაც გამოიყენოს ერთა ლიგაში.

ცამეტი წელიწადი ფაშისტური ხელისუფლება ჰპატრონობდა იტალიის ხალხს და მეცამეტე წლის დამლევს ფაშისტმა ერთგვარათ დამთავრებულათ მიიძინია ეს მხარე თავისი მართებლობისა და შეუდგა იტალიის განდიდებას ხმელეთსა და ზღვათა ზედა. შეასრულებს ამას ფაშისტების ბელადი? დაიდგამს იულიუს ცეზარის საზმანებო დაფნის გვირგვინს? სად და როგორ დასრულდება იტალიის საიმპერო ექსპანსიის პირველი ცდა? რა მოჰყვება აფრიკაში გასრული ტყვისა? გაუძლებს ქვეყანა აკიდებულ ომის მიძიმე ტვირთს?!

ეს სტრიქონები როცა სტამბიდან გამოვლენ, ბევრი რამ უკვე ამოცნობილი იქნება სფინქსზე! მე კი დღეს ასაქვრეტ ჰორიზონტს უნევის ღრუბლები მიჩრდილავენ...

რ. ინცილო.

|| X, რომი.

ბ ი ბ ლ ი ო ზ რ ა უ ი ა

ელენე თარხან-მელურავისეული ვეფხის-ტყაოსანის ხუროთბიანი ხელნაწევი.

ამ ხელნაწერს თავისი ისტორია აქვს. მუზეუმებში ხელნაწერთა შეგროვების დროს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ვეფხის ტყაოსანის საუკეთესო ხელნაწერთა მოპოვებას და შეძენას. მართლაც ბევრი საყურადღებო ხელნაწერები შევიძინეთ, როგორიც არის მაგალითად ჯერ-ჯერობით უძველესი თარხიანი და სურათებიანი ხელნაწერი 1646 წლისა, წერეთლისეული სურათებიანი ხელნაწერი მე-XVII საუკუნ. მეორე ნახევრისა საუცხოო 87 მინიატურით, პაპუა ბებურიშვილისეული ხელნაწერი 1688 წლისა, მეფე გიორგი მე XI სეული ხელნაწერი 1680 წლისა, შესანიშნავი ოქროს ვარაყიანი აშიებით (ბორღურებით) და სხვა მრავალნი, რომელნიც აღწერილი არიან ჩემს «წერა-კითხვის სახოგადოების ხელნაწერთა აღწერაში» რუსულს ენაზე, ტომი მე-II № № აღწერისა 314—235, 339—343, გვ. 554—582; 603—606. ამ აღწერის შემდეგაც რამოდენიმე ხელნაწერი იყო კიდევ ჩვენ მიერ შეძენილი. ჩვენ ვეძებდით და ვიმედოვნებდით მოპოვებას უძველესი ხელნაწერისა, ეს იმედი სამწუხაროდ არ გავვიმართდა, ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება ხელნაწერი, რომელიც მე-16 საუკუნის დასასრულს მიჯნას სცილ-

დებოდეს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ცნობების შეკრება, თუ სად და ვის მოუპოვებოდა კიდევ ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსანი, არ დაგვიღია.

სხვათა შორის გვადელო პოლიევეტ კარბელაშვილისაგან გვექნა და გვაჩინილი, რომ ელენე თარხან-მელურავის მეუღლეს ჰქონდა შეძენილი ერთი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსანის ხელნაწერი თვით პოლკარბელაშვილის დახმარებით. ქალბატონი ელენე იმ უამად ტფილისში არ ცხოვრობდა, არამედ იალტის მახლობლად კუჩუკ-ლამბატში, თავის მამიდის გაგარინის ცოლყოფილის მამულში. ამიტომ ჯერ წერილით მივმართე მამინდელ იალტის გრადონა-ხალნიკს ივანე ღუმბაძეს, რომ ეშუამდგომლა, ელენე თარხან-მელურავისას ის ხელნაწერი შემოეწირა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის. ამ წერილით არაფერი გამოვიდა. ამიტომ მე თვითონ გავემგზავრე ელენესთან ზაფხულში 1912 წ. ვიცოდი, რომ მას სხვა სურათები და სამუზეუმო ნივთებიც ჰქონდა. როგორც შეეფერებოდა საქართველოს ბანოვანს, ელენემ დიდად თავაზიანათ და გულწრფელად მიგივლო, პატივი გცვა, რაც სახლში ჰქონდა და მუზეუმისთვის ვარგოდა, სიამოვნებით

გადმოგვცა, მაგრამ გამოჩნდა, რომ მას მთელი თავისი ვერცხლეულობა და სხვა ძვირფასი ხატები და ნივთები და მასთან ეს ხელნაწერი ვეფხის ტყაოსანი შიშიანობის გამო პირველ რევოლუციის დროს სევასტოპოლის ხაზინაში მიებარებია შესანახად. პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ ის თავის ვერცხლეულობას, ხატებს, სურათებს, წიგნებს და იარაღს ჩვენს მუზეუმს დაუტოვებდა ანდერძით, ხოლო ვეფხის-ტყაოსანს მალე გამოიტანდა ხაზინიდან და გამომიგზავნიდა. ივანე დუმბაძემ მოსვენება არ მომცა მაგ ხელნაწერისათვის, რომ თქვენთვის გამოგზავნაო, მაგრამ ჯერ-ჯერობით გამოტანა ვერ მოვახერხეთო. ერთად ერთი ნივთი, რომელიც მე მოვიწონე მუზეუმისათვის და იმ დროს სახლში ჰქონდა, მაგრამ იმ ქამად ვერ გაიმეტა, ეს იყო მისი ბებიის, იმერეთის მეფის სოლომონ I ასულის მარიამ ბატონიშვილის წამლის დახატული მშვენიერი სურათი ქართულ ტანისამოსით. მარიამი იყო ელიზბარ ერისთავის ცალი. მათიშვილის კონა ერისთავის ასული იყო ელენე თარხნიშვილისა. ელენემ მითხრა: აქ ხშირად სასეირნოთ მოდის ნიკოლოზ მე-II, როცა იალტაშია, და გადმომცეს აპირებს ჩემთან შემოსვლას, და რომ მოვიდეს, რა უნდა ვაჩვენო, თუ არა მეფის ასულის ძველი სურათიო. ისე სიტყვა მომცა, ეს სურათიც თქვენ დაგრჩებათო.

შემდეგ ელენე თარხნიშვილისას ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერი მართლა გამოეტანა სევასტოპოლის ხაზინიდან და როცა მასთან მისი სიძე, ჩემი ამხანაგი, იოსებ დადიანი მისულიყო, მისთვის ეძლია ხელნაწერი ჩემთვის გადმოსაცემად. ეს თვით იოსებ დადიანმა გადმომცა, და დასძინა, სამწუხაროდ ვერ წამოვიღეო. ამრიგად ხელნაწერი კუჩუკ-ლამბატში დარჩენილიყო. შემდეგ ელენე თარხნიშვილისა იქ გადაცვლილა და მეორე რევოლუციის შემდეგ მათი სასახლე აუკლიათ.

ეს ხელნაწერი ერთს ქართველს სტამბოლში მოეტანა, იოსებ დადიანისთვის ეჩვენებინა და ეთქვა, თითქო ეს ხელნაწერი მას ეყიდოს სევასტოპოლის ბაზარში. ბევრი ვაჭრობის შემდეგ იოსებ დადიანს ხელნაწერი უყიდა იმ ქართველისაგან და ეხლა მის კუთვნილებას შეადგენს. იოსებ დადიანმა თვალსაჩინო დახმარება გაუწია ჩვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. სხვათა შორის მან შეიძინა მისი ნათესავი პუპი აბაშიძისაგან ძვირფასი მილანქრიანი ჯვარცმის ხატი და შემოსწირა მუზეუმს, მაგრამ ეხლა ხელმოკლეობის გამო უფალოდ ამ ხელნაწერს აღარ ელევა და ვინც მეტს მისცემს, მასზე გაყიდვას აპირებს. შეიძლება ხელნაწერმა საქართველომდის აღარ მიაღწიოს და ამიტომ საჭიროდ ვრაცხ მოკლე ცნობები მოვიყვანო მის შესახებ.

ამასთან უნდა შევნიშნო, როცა ს. კაკაბაძე ვეფხის-ტყაოსნის მეორე დიდ გამოცემას აპირებდა, ამ ხელნაწერის აღწერილობა მას მივწოდე. ეს წიგნი მრავლის სურათებით შემკობილი გამოვიდა 1927 წ. წინასიტყვაობაში (გვ. VII, შენ. 2) ნათქვამია, ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობა თავსდება დამატებაში, მაგრამ დამატებაში აღწერილობა არა ჩანს.

ალბათ დაიწყებია. ხოლო სამიოდე ფოტოგრაფიული სურათი ამ ხელნაწერიდან მისი ძმის მხატვარ დავით კაკაბაძის გადაღებული დართული აქვს გამოცემას. იხ. გვერდებს შუა 24-25, 168-169, 182-183.

ხელნაწერი ყდაშია, მაგრამ ყდა ძველი არ არის, თუმცა მოყვითალო ტყავი აქვს გადაკრული და ზედ ოქროს ფერი ასლებით აწერია «ვეფხის-ტყაოსანი». ზომა ყდისა 25×18 სანტ. ამ ყდაში მოქცეულია ნაკლები და ალაგ-ალაგ დაზიანებული ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსნისა. ტექსტი ნაწერია ლამაზი სტამბურის ხელით და მოქცეულია ოთხკუთხედ რამკაში, შედგენილს ოთხი ზოლისაგან, ორის წითელის და ორის მწვანის; ზომა ტექსტისა 20.5×13 სანტ. ქალაქი კარგია, გაეშვული, მაგრამ ფილიგრანი არა აქვს, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევნიშნეთ, თვითეულ გვერდზე დატეულია ხუთი ტაეპი. მელანი შავია, სათაურები და პირველი ორი სიტყვა ტაეპისა ნაწერია წითლურით. ნიშნებით ისმარება ყოველი სიტყვის შემდეგ ხან თითო, ხან ორ ორი, ხან სამ-სამი წერტილი.

შეიცავს სულ მერმენდელის სათვალავით 176 ფურცელს, მაგრამ აკლია მე-82 და მე 140 ფურცლები. ზოგიერთი ფურცლები მერმეთ მიმატებულია და ზედ ტექსტი მე-18 საუკ. ხელითაა დაწერილი. ასეთებია 79, 90-92, 133-135 ფურცლები. ამ დამატებული ფურცლების ფილიგრანი სამი ნახევარი მთვარეა. ყველა ფურცელი ყდის გაკეთების დროს შეკეთებული და შემარებელია ქალაქის დაწვევებით აშიებზე. სურათებს უკავია 18 განცალკევებული ფურცელი. ამას გარდა სამი სურათი შიგ ტექსტშია მოქცეული. სურათები ჩვეულებრივად სპარსული ყაიდის არის და შესრულებულია ფერადებით. ადგილ-ადგილ დაზარალებულია. დაცული სურათები შემდეგის რიგით არის მოთავსებული ხელნაწერში:

1. აქა ავთანდილისაგან ტარიელის ამბვის ცოდნა (ფურც. 8).
2. ავთანდილის ხეზე ასულა და ტარიელის და ასმათის ნახვა (ფ. 10. ეს სურათი თავუკულმა არის მოქცეული).
3. ავთანდილის და ასმათის საუბარი ქვაბში (ფ. 14. სურათი პატარაა, ტექსტის ბოლოს მოქცეული. შინაარსის წარწერა მოჭრილი აქვს).
4. აქა ტარიელისა და ავთანდილისა ნახვა და შეხვედრა] (ფ. 15).
5. ტარიელისაგან თავის ამბის მბობა ავთანდილის წინაშე (ფ. 21. ეს სურათი ტექსტშია მოქცეული).
6. აქ ტარიელისაგან ნესტან დარეჯანის ნახვა (ფ. 26. სურათი ორად არის გაყოფილი. ქვემო ნაწილში ავთიმეოფი ტარიელი წევს და ორი კაცი თავს ადგია).
7. წიგნი ნესტარ დარეჯანის თავის საყვარელთან მიწერილი (ფ. 29 verso. სურათი ტექსტშია მოქცეული. ასმათი აწოდებს წერილს ტარიელს).
8. აქა ტარიელისაგან ინდოეთს მისულა და რამანის შეპყრობა (ფ. 39. წარწერა მოშლილია).
9. აქა შველა ტარიელისაგან ფრიდონის ველმწიფისზე (ფ. 55 verso).
10. აქა ავთანდილისაგან ტარიელის ამბვის მბობა



ბა (როსტევან) მეფის წინ (ფ. 62. სურათი ორად არის გაყოფილი. ზემოთ ავთანდილი მუხლმცურელი ნოხზე მეფეს უამბობს. ქვემოთ მეჩანგენი ართობენ თინათინს).

11. . . ანდერძი ავთანდილისაგან. თავის ყმის შერმანდინის ჯანიშინად დაგდება (ფ. 77 verso).

12. აქა ტარიელის ლომვეფხთ-მოკულა და დაბნედა, ავთანდილის ტირილი (ფ. 88).

13. აქა ავთანდილისაგან ფრიდონის ნახვა და შეყრა (ფ. 97).

14. აქა ავთანდილისაგან ზღუაში ომი და გამარჯვება (ფ. 104 verso. ამ სურათის ცარიელ ზურგზე სამ სტრიქონიანი სომხური წარწერაა გვიანის ხელით).

15. აქა ფატმანის მონისაგან ქაჯეთს ნესტან დარეჯანის ნახვა და წიგნის მირთმევა (ფ. 129).

16. აქა ავთანდილისაგან ამბვის მიტანა და ტარიელის დაბნედა (ფ. 137 verso).

17. აქა ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონისა ომი ქაჯეთს (ფ. 145).

18. აქა ქორწილი ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა (ფ. 151).

19. აქა ქორწილი ავთანდილისა და მზე თინათინისა (ფ. 161. სურათი სამ ნაწილად არის გაყოფილი; ზემოთ ავთანდილ და თინათინ სხედან ერთად. შემდეგ როსტევან და ფრიდონ, შუა ნაწილზე ტარიელ და ნესტან დარეჯან სხედან ერთად. ამით პირდაპირ სამი ფიგურაა. ქვემო ნაწილში მუტრიბნი და მუსიკოსნი).

20. ტარიელისაგან რამადან მეფის სიკუდილი (ფ. 168).

21. აქა ინდოეთს ავთანდილისა და ნესტარ დარეჯანის ქორწილი (ფ. 172). უკანასკნელი ორი სურათის სიუჟეტი ვეფხის-ტყაოსნის გაგრძელებიდანაა.

კომპოზიცია ზოგიერთი სურათებისა თვალსაჩინოდ განიჩქევა არსებული სხვა ცნობილი ხელნაწერების კომპოზიციებისაგან.

საზოგადოთ ამ ხელნაწერის სურათები უფრო ემსგავსებიან მე-1646 წლის ხელნაწერის სურათებს (№ 599 საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა), ვიდრე № 5006 წერა-კითხვის საზოგადოებისა.

თავში და ბოლოში ხელნაწერს აკლია. მე ვადარებ ტექსტს ს. კაკაბაძის მიერ პირველ გამოცემაში 1913 წლისა, ვინაიდან ეს ერთადერთი გამოცემაა ჯერჯერობით, სადაც ჩამატებულია და გაგრძელებინა დაართული. ამის მიხედვით, ჩვენს ტექსტს აკლია 127 ტაეპი და ესლა ტექსტი იწყება მე-128 ტაეპის მესამე სტრიქონით; «ყოველი პირი მიწისა თქვენ კრმლითა დაგიმონია», მაგრამ ეს და ქვემოთ კიდევ ხუთი სტრიქონი დაწერილია მერმენდელის ხელით ლურჯ ქაღალდზე, რომლითაც თავი ამ პირველი დაცული ფურცლისა შეკეთებულია.

ბოლო თვით ვეფხის-ტყაოსნისა ისე თავდება, როგორც ს. კაკაბაძის გამოცემაშია, ესე იგი; მე-1527 ტაეპით და შემდეგ იწყება გაგრძელებანი ვეფხის-ტყაოსნისა: ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკუდილის ცნობა. შემდეგ: ტარიელისაგან ინდოეთს მი-

სულა და ხატაელთ დამორჩილება. შემდეგ: ქორწილი ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა. შემდეგ: სვარაზმთ მეფისაგან ტარიელის ავაღმყოფობის ცნობა, შიგ ჩამოდგომა. ამას ს. კაკაბაძის გამოცემაში ასეთი სათაური აქვს: აქა ტარიელის დასწელება და სვარაზმთ მეფისაგან, სისხლის ძებნად მოსულა ინდოეთს, მაგრამ ეს თავი დამთავრებული არაა ჩვენს ხელნაწერში, და ტექსტი თავდება მე-1624 ტაეპით. სხვა აკლია: მოკლეთ რომ ვთქვათ ჩვენს ხელნაწერში მოთავსებულია ტექსტი, რომელიც კაკაბაძის გამოცემაში შეიცავს 128-1624 ტაეპებს. ამით შორის მე-152, 231 და 715 ტაეპი არ არის ჩვენს ხელნაწერში. ამას გარდა ხელნაწერს შუაში აკლია ფურცლები: მე 82 და მე 140 და მათზე მოქცეული ტაეპები 797-813 და 1315-1325. სამაგიეროთ ხელნაწერში მოქცეულია კიდევ ის შიგა და შიგ ჩამატებული ტაეპები, რომელნიც კაკაბაძის გამოცემაში ნაჩვენებია შემდეგის რიცხვებით:

- 137-1^{*)}, 145-1, 147-1, 159-1, 164-1, 168 1, 177-3,
- 189-1, 197-1, 214 1, 214-2, 231 5, 236-1, 253-1, 274 1,
- 274-2, 276 1, 276-2, 277-1, 277-2, 291-1, 292-1, 293-1,
- 302-1, 308-1, 308-2, 341-1, 344-1, 347-1, 381-1, 402-1,
- 452-1, 467-2, 512 1, 512-2, 545-1, 549-1, 605 1, 620-1,
- 631-1, 647-1, 672-1, 678-1, 684 1, 727-1, 727-2, 731-1,
- 736-1, 737-1, 763-1, 763-2, 768-1, 782-, 794-1, 914 1,
- 927-1, 970-1, 998-1, 1002-1, 1095-1, 1231-1, 1253 1,
- 1261-1, 1341-1, 1408-1, 1452-1, 1477-1, 1561-1, 1561-2,
- 1561-3, 1561-4, 1561-5.

ეს შეადგენს 72 ტაეპს, საზოგადოთ ამ ხელნაწერში ჩვენ გვხვდება მიმატებული ტაეპები, რომელნიც მოიპოებიან ჩვენ მიერ აღწერილ ხელნაწერებში წერა-კითხვის საზოგადოებისა №№ 2829, 4429, 5006, 4732 და საისტორიო და საეთნ. საზოგადოებისა № № 54, 461, 757.

ერთი მიმატებული ტაეპი, რომელიც ჩვენს ხელნაწერშია, არ არის კაკაბაძის გამოცემაში. ეს იქნება რიგით 1608-2:

ფრიდონცა არის თავისასა მორუმული შვებით, ხარებით,

მტერთა საშიში, ერთგულთა მოსაკრად დაუხარებით,

მათ ძმათა ამბის საკითხი არ გაწყდის კაცი კარებით

და გასცემდის ოქრო გუარსა, ლარს ნურვიან დაეკარებით.

ტექსტს ჩვენს ხელნაწერში უფრო ბევრი სათაურები აქვს ვიდრე სხვებში და ზოგჯერ შეცვლილიც, რიგი ტაეპებისა ხელნაწერში ზოგჯერ სხვა ვიდრე კაკაბაძის გამოცემაში, მაგალითად კაკაბაძის გამოცემის ტაეპების რიგი ჩვენს ხელნაწერში ასე მისდევს ერთმანეთს: 1001, 1006, 1002-2, 1008, 1009, 1003, 1005, 1007, 1010; 1285-1289 ტაეპები მე-1294 ტაეპის შემდეგ არის მოქცეული და სხვა.

როდის და ვის მიერ არის გადაწერილი ჩვენი ხელნაწერი შიბ ტექსტში არსად არა ჩანს, მაგრამ

*) ხაზს შემდეგ ის ციფრებია, რომელნიც კაკაბაძის გამოცემაში ზევით უწერია ხოლმე.

ხელის, ქალაქის და სურათების სტილის მიხედვით ხელნაწერი ჩვენის ახრით ეკუთვნის მე XVII საუკუნის მეორე ნახევარს. როგორც ეტყობა ხელნაწერში წინეთ ყოფილა, მაგრამ არ შენახულა, ყველა ის დამატებანი და გაგრძელებანი, რომელნიც ახასიათებენ ზოგიერთ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის ხელნაწერებს და რომელნიც ეკუთვნიან საზღვრის თმოგველს, ნანუჩა ციციშვილს და როგორც ესლა გამოირკვა, კიდევ იოსებ ტფილელს *) და სხვებს.

*) იხ. გიორგი ლეონიძე. ვეფხის ტყაოსნის ახალი ხელნაწერი. «ლიტერატურული მემკვიდრეობა», წიგნი I, ტფილისი. 1935 წ., გვ. 23.

**) სამეცნიერო გამოცემა ვეფხის-ტყაოსნის ტექსტისაა, ყველა არსებული ხელნაწერების მიხედვით და ყველა ვარიანტების აღნიშვნით, ჩვენ კარგი ხანია გათვალისწინებული გვექონდა და ჩვენმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ეს მიანდო პ. ინგოროყვას. პირველი ფორმა კიდევ აწყობილი იყო, მაგრამ ომის დაწყებამ 1914 წელს მოგვისპო საშუალება და შეაჩერა ყველა ჩვენი დაწყებული გამოცემანი.

სურათების მეორე ცარიელ გვერდებზე მერმენდელი მინაწერებია, უმეტეს შემთხვევაში ულაზათო ლექსები. ორი ლექსი პირველი სურათისა ეკუთვნის ლუარსაბს, თარხნის ზაზას ძეს. და დაწერილია 13 მაისს, 1812 წელს. თარიღი ასე აწერია: მაისის 13 ქკს უუ თარხნის ზაზას ძე ლუარსაბ (ჩართულით). ტექსტი ხელნაწერისა ჩვენ დაწვრილებით შევადარეთ ს. კაკაბაძის გამოცემას და ყველა ვარიანტები აღვნიშნეთ მელნით აშიებზე. ვარიანტები ერთობ ბევრია და ზოგჯერ ფრიად საყურადღებო. ამიტომ საჭიროა მისი გამოყენება ვეფხის ტყაოსნის ნამდვილი ტექსტის დასადგენად **). თუ ამასთან მივიღებთ მხედველობაში, რომ სურათებიანი ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერები ცოტა მოგვეპოვება და ამ ხელნაწერის სურათები არ არის გამეორება რომელიმე არსებული ხელნაწერისა, არამედ სულ თავისებურია, ამით ამ ხელნაწერს მეტი ღირსება ემატება. სურათები თანამედროვეა ხელნაწერისა, რაც მტკიცდება იმით, რომ სამი მათგანი შით ტექსტშია მოქცეული. სტილი მათი და განცალკევებული სურათებისა ერთგვარია.

ექვთიმე თაყაიშვილი.

„დამოუკიდებელი საქართველო“

მაღე ათი წელიწადია, რაც გამოდის.

დღიდან დაარსებისა იგი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებად ჩაერიოს ჯგუფურ უთანხმოებასა და პოლემიკაში, ემსახურება მთელი ძალდონით განმათავისუფლებელ მუშაობას, აშუქებს საქართველოს საკითხს, აწოდებს მკითხველს ობიექტიურ ცნობებს როგორც იქ საქართველოს ისე აქაურ საერთაშორისო ვითარების შესახებ.

მისი ფართო გავრცელება ყოველი მებრძოლი ქართველის მიზანი უნდა იყოს.

რედაქცია იძულებულია უფასოდ დაუბრუნოს და უგზავნოს გამოცემა იმათ, რომელთაც საშუალება არ მოეპოვებათ ფასის გადახდისა.

მაგრამ არიან ხელის მომწერნი, რომელნიც ქონებრივად სრულებით უზრუნველყოფილნი არიან და რომელთათვის ფულის გადახდა არაფერს წარმოადგენს. სამწუხაროდ ბევრია მათ შორის, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში ჟურნალს იღებენ და ერთი წლის გადასახადიც კი არ შემოუტანიათ, საფიქრებელია, გულმავიწყობისა და დაუდევრობის გამო.

მოვავრებთ ამ პირებს, კეთილინებონ—შეიწუხონ თავი და წარმოადგინონ ხვედრი ფული. ამით საშუალებას მოგვცემენ, უფრო გავავრცელოთ «დამოუკიდებელი საქართველო» და მივაწოდოთ ყველა ჩვენს მოძმეს, ვისაც დღევანდელ მძიმე პირობებში არა აქვთ სასხარი ჟურნალის საყიდლად.



საქართველოს საკითხი

ერთი ლიზის იგზვლიზ

ფრანგულ ჟურნალ «Gringoire»-ის უკანასკნელ ნუმერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

«საბჭოთა რუსეთი ყველაზე მეტს მხურვალეობას იჩენს ენევევაში სანქციების სასარგებლოდ. თუ სამართალია, ყველაზე ნაკლებად ის უნდა მოითხოვდეს სანქციებს, ვინაიდან მან პირველმე ჩაიღინა აგრესიული აქტი საზავო ხელშეკრულობის დადების შემდეგ. მოგახსენებთ ამის ისტორიას:

ერთა ლიგის პაქტი ძალაში შევიდა 1919 წლის 28 ივნისს.

1920 წ. 11 იანვარს მოკავშირე სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. 1920 წ. 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას საქართველოსთან, რომლის პირველ მუხლში ნათქვამია: «რუსეთი ყოველ რეზერვს გარეშე აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას».

ხოლო არა უგვიანეს ათი თვისა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკას. ქართველებმა გამირული წინამძღვობა გაუწიეს, მაგრამ დამარცხდნენ. მოტყვილდნენ, ზავსა და მშვიდობიანობას დაეწვედნენ. რამდენიმე კვირის განმავლობაში გეკერმა საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა საქართველოში.

1921 წ. 27 იანვარს ბრიანმა ოფიციალურ დოკუმენტში გადაჭრით დაიცვა საქართველოს უფლებები. პუანკარემ რომ ხელში აიღო საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გამომძევებული ეროვნული მთავრობის წარმომადგენელი მიიღო. არც გენუის კონფერენციაზე, არც ლოზანაში საბჭოთა დელეგატებს ნება არ მისცეს ელაპარაკნათ საქართველოს სახელით. როცა დარდანელის სრუტეების ხელშეკრულება დასდევს, საქართველოს ადგილი შეუნახეს კომისიაში და ლონდონის, რომის და პარიზის მთავრობანი არ დასთანხმდნენ, რომ საბჭოთა დელეგატს საქართველოს მაგიერ ხელი მოეწერა.

რა გააკეთა ერთა ლიგამ? რამდენიმე რეზოლუცია გამოიტანა საქართველოს საკითხის მოსაგვარებლად.

ხოლო საბჭოებმა არაფერი ისმინეს და წინამძღვრ მათ მიერვე ხელმოწერილ პირობისა საქართველოს ერი კვლავ დამონებული ყავთ.

რაც შეეხება ინგლისს, არაფერი თქვა, არაფერი, არაფერი».

ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციების ინტერნაციონალურ კავშირის მუდმივი კომისიები და გენერალური საბჭო შეიკრიბნენ შემოდგომის ჩვეულებრივ სესიად ერთა ლიგის ყრილობის დახურვის წინა დღეს, 27 სექტემბერს. სესიამ ვასტანა 4 დღე. მათ დღის წესრიგში იყო ყველა ის მნიშვნელოვანი სათხი, რომელიც დღეს აღწევებს მთელ კაცობრიობას.

ეკონომიურ და სოციალურ საკითხების კომისიამ განიხილა მოღვაწეობა ამ ნიადაგზე ერთა ლიგის და შრომის ინტერნაციონალურ ბიუროსი უკანასკნელ წლების განმავლობაში, შეისწავლა განსაკუთრებით გამწვავებული პრობლემა მიგრაციის და ნედლი მასალის განაწილების. შემუშავა რეზოლუცია, სადაც აქცევს ერთა ლიგის და შრომის ინტერნაციონალურ ბიუროს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ პრობლემაზე. ერთა ლიგის პაქტის გადასინჯვისათვის სპეციალურად შექმნილი და ინტერნაციონალურ ხასიათის ტერორის წინამძღვრ ბრძოლის კომისიებსაც რამდენიმე სხდომა ჰქონდა და წარუდგინეს ამ კითხვების შესახებ რეზოლიუციები გენერალურ საბჭოს დასამტკიცებლად. ერთი წელია, რაც კავშირი მუშაობს ახალგაზდობის მსოფლიო დიდი კონგრესის მოსაწვევად, სადაც იმედია ქართველი ახალგაზდობის წარმომადგენელიც მოხვდება. შექმნილია ამისათვის განსაკუთრებული კომიტეტები, რომლებიც სამზადისის მუშაობას ეწევიან. იურიდიულ და პოლიტიკურ კომისიებსაც ჰქონდა დისკუსიები საერთაშორისო უმცირესობის საკითხზე.

ყველა შემოხსენებულ კომისიების რეზოლუციების განხილვის და დამტკიცების თუ უარყოფის გარდა გენერალურ საბჭოს წინაშე იდგა სამი საკითხი: მომავალ ორი წლისათვის ახალ თავმჯდომარის არჩევა, ზოგ წევრთა მოვალეობის აუსრულებლობა და იტალო-აბესინიის კონფლიქტი, და საბჭოს თავმჯდომარე კი პირდაპირ რომიდან მოსული, გამოჩენილი იტალიელი იურისტი, სენატორი ჯიანინია! თავმჯდომარე ჯიანინმა კონფლიქტის საკითხი გამოთიშა და ბოლოსთვის გადასდო. კავშირის წევრთა მოვალეობის არ ამსრულებელთა რიცხვი კერძო მილაპარაკ-მოლაპარაკების შემდეგ. ორზე დაიყვანეს და ამნაირად, საკონტროლო კომისიის წინადადებით, საბჭომ ერთხმად დაადგინა ჯერჯერობით რუსეთის (ემიგრანტული) და შვეციის ასოციაციების კავშირიდან გამოორიცხვა, რაც ამიერიდან უაქლაციოა.

დადგა მომენტი საერთო მღელვარების. ჯიანინმა თავმჯდომარეობა საფრანგეთის წარმომადგენელს მორელს გადასცა, რათა კონფლიქტის შესახებ თავისუფლად ელაპარაკა. სანამ გადადგებოდა, საბჭოს სახელით ინგლისის წარმომადგენელმა ლედი გლადსტონმა მეტად გრძობიერი სიტყვით მიმართა მას, სადაც აღნიშნა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში თავმჯდომარემ თავისი თავაზიანობით და გამჭრიახობით ყველას პატივისცემა, სიყვარული და

მადლობა დაიმსახურა. ჯიანინს ხანგრძლივი ოჯახი გაუმართეს. შემდეგ წაკითხულ იქნა კონფლიქტის შესახებ რეზოლუცია. ჯიანინმა სიტყვა აიღო და მკერმეტყველურად, მაგრამ ფაქტების დაუმახინჯებლად, გააკეთა მომხიბლავი ექსპონე იტალიასთან დადებულ ხელშეკრულებებზე და დაპირებებზე, რომელნიც არასოდეს აუსრულებიათ მის მოკავშირეებს. განსაკუთრებით საყურადღებოა მოტივი შეპირებების დარღვევისა: ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობდა რუსეთის იმპერია, ის აღარ არსებობს, ამიტომ ვერ შეგისრულებთო! დაპირებები შემდეგაც ბევრი ყოფილა, მაგრამ არასდროს ასრულებულა. ამ სიტყვაზე იმავე ქ-მა გლადსტონმა უპასუხა ინგლისის დელეგაციის სახელით ფრიად თავაზიანად: ინგლისელ ერს ძალიან უყვარს იტალია, დიდი პატივისცემით უყურებს მას, ომი არაა საჭირო, შეიძლება კიდევ ყველაფერი მორიგდეს მეგობრულ მოლაპარაკებითო... კამათი გაგრძელდა. ნამეტანი გვიანი იყო. ამიტომ კენჭის ყრის დროს, რაც სახელობრივ გამოძახებით მოხდა, საქართველოს წარმომადგენელმა შავიშვილმა უმოტივოთ განაცხადა თავს ვიკავებო. ეს ასედაც კარგად გაიგეს, რადგან შარშან მან სწორედ იმავე დარბაზში იმავე კრებას უთხრა: «საბჭოთა რუსეთის ერთა ლიგაში დაშვება მოხდა პაქტის აშკარათ დარღვევით და თქვენ სდუმხართ, რა ფასი ექნება თქვენს პროტესტს, როცა რომელიმე დამრღვეველის წინააღმდეგ ხმას ამოიღებთ!» შავიშვილს მიყვა იაპონიის წარმომადგენელი და უკრაინის ასოციაციის სახელით შულგინმაც განაცხადა თავის შეკავება.

უცხოეთის მიმოხილვა

ომი და სანქციები.

როგორც მოხალდნელი იყო, ეწევა ვერას გახდა და დაიწყო ომი აღმოსავლეთ აფრიკაში, როგორც კი წვიმების სეზონი გათავდა. იტალია შორს იყო შეტრიალი და თვით დუჩეც უძლური იყო უკან დაესხა. პირველი შეტევა გამარჯვებით გათავდა და იტალიის ჯარმა დაიჭირა ადუა, რითაც რევანში აიღო თავის დამარცხებისთვის 40 წლის წინეთ. მაგრამ ეს მხოლოდ უბრალო ეპიზოდია სტრატეგიული თვალსაზრისით და ნამდვილი სიძნელენი აწი იწყება, რადგან იტალიის ჯარმა უნდა გადალახოს მაღალი მთა-ხრიოკები, ღრმა ოღრთ-ჩოღრთები, უწყლო უდაბნოები, სადაც მას არა ერთი სიურპრისი მოვლის მტრისაგან. ეთიოპიის ჯარი. შეიძლება ითქვას, ჯერ არ შესულა ომში და მომხდომს ეგებებოდენ მხოლოდ მისი მოწინავე რაზმები. რა თქმა უნდა, მომზადებით და იარაღით დიდი განსხვავებაა მოპირდაპირეთა შორის. იტალია აღჭურვილია ყველა იმ უპირატესობით, რაც დიდ სახელმწიფოს ეკუთვნის; ჩამორჩენილი ეთიოპია ვერ შეედრება მას, მისი ჯარი მეტ ნაწილათ შეიარაღებულია შუბით ან კიდევ კაყის თოფით, მას არა აქვს ავიონები, ტანკები... ერთად ერთი უპირატესობა მის მხარეზე ის

არის, რომ იცავს თავის მიწა-წყალს, მაშინ როდესაც იტალია აწარმოებს კოლონიალურ ომს.

ერთა ლიგამ პაქტის დამრღვევად და თავდამსხმელად იტალია გამოაცხადა და მეუდგა სანქციების გამომუშავებას, როგორც ამას მოითხოვს პაქტის მე-16 მუხლი. პირველი რიგი სანქციებისა იყო იარაღის და მის დასამზადებელ მასალის შეტანის აღკვეთა იტალიისთვის და მათი დაშვება აბისინიისთვის. ეს სანქცია უკვე ძალაში შევიდა, მაგრამ არც ისე საგრძნობია იტალიისთვის, ხოლო აბისინიას არა აქვს სახსარი იარაღის შესაძენათ და არც თავისი გასავალი აქვს წითელ ზღვაზე. ერთად ერთი რკინის გზა: ჯიბუტი ადის-აბაბი საფრანგეთს ეკუთვნის და იტალია ემუქრება მის გადაჭრას აბისინიის ტერიტორიაზედ. მეორე და მესამე რიგი სანქციებისა არის ფინანსური და ეკონომიური ხასიათის, ნამეტანი რთული და განსახორციელებლათ კიდევ უფრო ძნელი. იტალიასთან დადებულ ეკონომიურ თანამშრომლობის პაქტის ძალით, აესტრია და უნგრეთი შეუძლებლათ თვლიან ამ სანქციების განადგობას; შვეიცარია, ემყარება რა ყველას მიერ ცნობილ ნეიტრალიტეტს, რუნერებს აკეთებს; რუმინია და იუგოსლავია გაიძახიან გავკოტრდებით, თუ იტალიასთან აღებ-მიცემობა შევწყვიტეთო. მაგრამ მთავარი სიძნელე შინც ისაა, რომ გერმანია, შვერთებული შტატები და იაპონია ლიგის გარეთ არიან და არ თვლიან თავის თავს ვალდებულად გასწყვიტონ ვაჭრობა იტალიასთან. მოსკოვიც რუნერვს აკეთებს: ენანება მილიონების დაკარგვა ჩვენს ნავთზე და შეაქვანზე!

ასე თუ ისე, ინგლისის გავლენით, ეს სანქციებიც დაადასტურა ლიგამ და მიმართა ყველა სახელმწიფოთ თავისი დადებითი პასუხი გასცენ 31 ოქტომბრამდე. ეწევის აქტივობა ორი კვირით შეწყდა და ეს არა უსარგებლათ. საეუვა ომი შეჩერდეს მანამდე, მიუხედავათ პიერ ლავალის განმეორებით შუამავლობისა, მაგრამ სხვა უფრო საშინელი გართულებანი თითქო თავიდან აიციდინეს. ჩვენ ვამბობთ იტალია ინგლისის, ერთის მხრით, ინგლისს-საფრანგეთის მეგობრობის გაცივებაზე, მეორეს მხრით. ინგლისმა კიდევ სანქციებამდე თავი მოუყარა სმელთა-შუაზღვანედ მთელ თავის ფლოტს პასუხად იტალიის ჯარის დაგროვებაზე ლიბიაში, ეგვიპტის საზღვარზედ. ასე გეგანებოდათ, საცაა თოფი გავარდება მათ შორისო, მაგრამ უკანასკნელ წუთს, ახილ მოლაპარაკების წყალობით, ეს შიში თითქო აცილებულია. იტალია აცხადებს აზრათაც არ მოსვლია ინგლისის ინტერესების შელახვა და ინგლისიც მიუგებს კონფლიქტია იტალიასა და ლიგის შორის და მე მხოლოდ უკანასკნელის პაქტის ფარგლებში ვიმოქმედებო. იმავე დროს ინგლისი უსაყვედურებდა საფრანგეთს ლიგის პაქტის დაცვას გულგრილათ ეკიდებო და თუ შენს ფლოტს არ მომაშველ, ვინიცობაა იტალია დამეცესო, ლოკარნოზე ხელს ვიღებო. საფრანგეთი მიუგებს, მუდამ ვიცავდი და ენლაც ვიცავ პაქტს და აქედან გამომდინარე მოვალეობას, ე. ი. ფლოტს დავახმარ, მაგრამ მე არ ვთავებ ცდას რამე კომპრომისი გამოვნახო მეომართა მოსარიგე-



ბლათო. ერთი ნაბიჯი დაშოშმინებისაკენ კიდევ გააკეთა მუსოლინიმ, ლავალის შუამავლობით: ლიბიიდან ერთი ნაწილი ჯარისა უკან გაიწვია და ინგლისიც ალბათ თავის ფლოტის ერთ ნაწილს უკან გაიწვევს. ამასთანავე აცხადებენ როგორც პარიზში, ისე ლონდონში ვეცდებით ომი შევაჩეროთო.

ამის წინამდევი თითქო არც მუსოლინია, ამიტომ არ დატოვა, შეეველათ, ერთა ლიგა, მიუხედავად სანქციებისა, რაიცა თავის თავთ ფრიად საინტერესო პრეცედენტს წარმოადგენს. 53 სახელმწიფოს წარმომადგენელი რეპრესიებს იღებენ ლიგის ერთ ერთ წევრის წინამდევ და უკანასკნელის წარმომადგენელი, იქვეა და გამოდის კიდევ თავის დასაცავათ! ცხადია აქედან, რომ იტალიას არ სურს გაწყვიტოს კავშირი ენევეასთან და სამავიეროთ არც სახელმწიფოთ სურთ მისი ღირსების შელახვა. აბისინიის წარმომადგენელიც ხომ გამუდმებით მორიგებას მოითხოვს, თუმცა ის ეხლა ომის ველზედაა და სარდლობს ჯარის ერთ ნაწილს.

როგორც ხედავთ, წინამდევობა ბევრია, შეუსაბამობაც, მაგრამ იმედს არ კარგვენ, რომ მიღწევებს ზავს. აქტივობაში თუ რაზე საყურადღებო ამბავი მოხდა ან ერთის, ან მეორის სასარგებლოთ, შეიძლება იქვე მონახონ საერთო ენა ორივე მხარემ, მაგრამ ამას არავენ ელის ახლო მომავალში, ხოლო ომის გაგრძელება დიდის ხნით უფრო იტალიისთვის არის საგრძნობი, ვინემ აბისინიისათვის, ამიტომ უფრო დანიშნული არიან, რომ ისევ ენევეაში მოავარდებენ ზავს. ეს კი იქნებოდა ერთა ლიგის პრესტიჟის აწევა.

მომკვლეო, შვილები გელუჰებათ!

მე უკვე ვწერდი ამ რამდენისამე წლის წინად უცხოეთში მყოფ ქართველ მოზარდ თავობის შესახებ, მაგრამ მაშინ მთლად იმედ დაკარგული არ ვიყავი; ვფიქრობდი, საქმე გამოკეთდებოდა, მშობლები სულ არ გასწირავდენ თავიანთ შვილებს.

სამწუხაროდ დღეს მდგომარეობას მეტად პესიმისტურად ვუყურებ და საქმის ვითარება კატასტროფულად მიმაჩნია. ეხლა რომ ჩვენს ახალგაზრდებს ვნდავ—ესენი უკვე გადაგვარებულნი არიან, ქართველობის ყოველი ნიშანი დაუკარგავთ. არა თუ ქართული დავიწყნიათ თუ არც უსწავლიათ, არა თუ საქართველოზე წარმოდგენა არა აქვთ—მისი წარსულის, დღევანდელის, ბუნების და სახის,—გარეგნულადაც გადასხვაფერებულან, კარგად თუ არ დააცქერდით, ქართველის ტიპიურს იერს ვერ შეამჩნევთ, ქართული ორიოდვე სიტყვა თუ იციან, ისე ლაპარაკობენ, რომ ვერც კი რასმე გაიგებთ, კილო სრულიად უცხოური აქვთ. მათი ხასიათი, ზნე, ჩვეულება, ფიქრები, მისწრაფებანი, მთელი სოფლმხედველობა სამუდამოდ დაშორებულია საქართველოს. არაფერი აინტერესებთ ქართული და საქართველოსი. არავითარი ეროვნული შეგნება, ეროვნული სიყვარული, თავისთავის პატივისცემა! ყველაფერზე ილაპარაკებენ, ხოლო სამშობლოს გაურბიან. არასოდეს

რუსეთის უმძიმეს რეჟიმის დროს ასეთ გადაგვარებას ადვილი არ ჰქონია. იქ საქართველოში ყველაფერი ქართული სულით იყო გაყენებული და ბავში, რომელსაც ძალით აგოწყებდენ დედა ენას, მაინც ქართველი რჩებოდა, ქართულ ატმოსფეროში ტრიალებდა და მის გავლენას ემორჩილებოდა.

სულ სხვაა აქ უცხოეთში—აქ სკოლაში, ქუჩაში, საზოგადოებაში, სახლშიც კი ყველაფერს უცხო ხედავს, უცხო ესმის, უცხო ემორჩილება. მის ნორმებუნებას ძალა არ შესწევს რაიმე წინამდევობა გაუწიოს ამას. ეს საერთო წესია და ამ შემთხვევაში ქართველი ბავშვები არავითარს გამოჩაქციის არ წარმოადგენენ.

მთელი ბრალი ედებათ მართო მშობლებს, რომელთაც შეუძლიათ საქმის გამოსწორება თუ მთლად არა, სანახევროდ მაინც. განა არ ცხოვრობენ უცხოეთში ინგლისელები, გერმანელები, იტალიელები, ესპანელები, ჩეხები, პოლონელები, მაგრამ მათი შვილები არ არიან გადაგვარებულნი, არ იგოწყებენ დედა ენას, იციან და უყვართ სამშობლო, იმიტომ რომ ამათ აქვთ ოჯახი, სადაც დედა-ენაზე ელაპარაკებიან შვილებს; არიან შეგნებულნი მშობლები, რომლებიც აცნობენ და აყვარებენ ბავშვებს მშობელ ქვეყანას. საუბედუროდ ჩვენს მშობლებს ამის შეგნება არა აქვთ, არ ჰკარძობენ იმ დიდი პასუხისმგებლობის, რომელიც მათ მოეთხოვება. მათ არ ესმით, თუ რა უბედურებას განუშხმდებენ თავიანთ მეგვიდრეებს. თავის მოტყვიობაა, თუ მათგან ვინმე ჰფიქრობს, რომ ბავში და ახალგაზრდა მერე ისწავლის ქართულს, მერე გაეცნობა და შეიყვარებს თავის სამშობლოს. რასაც ადამიანი ბავშობაში ვერ შეითვისებს, ამას ვერასოდეს შესძლებს. ის სამუდამოდ დაკოდილი და დასახინრებული დარჩება. არა ქართულად გაზდილი საქართველოში რომ დაბრუნდებ, საქართველოს ვერ შეეგება, მისას ვერ გაიგებს, ნამდვილი მამულიშვილი და საზოგადოების წევრი ვერ გახდება. მთელ სიცოცხლეში გაორებული ის იქნება უბედური, ვერ გაშლის თავის შესაძლებლობას სრულად და შეიძლება ტრადიკულად გაათავოს თავის არსებობაც. ამიტომ ეგებ უკეთესიც იყოს, ყოველ შემთხვევაში მის პირად წარმატებისა და ბედნიერებისთვის, თუ გადაგვარებული ქართველი სამუდამოდ უცხოეთში დარჩება. აქ იგი უკეთ იცხოვრებს, მეტსაც გააკეთებს, რასაკვირველია, არა თავის ქვეყნისთვის...

მშობლებო, ჩაუკვირდით ამ მდგომარეობას. გმირობას და დიდს მსხვერპლს არავინ მოითხოვს თქვენგან. ოღონდ სახლში, ოჯახში ელაპარაკეთ შვილებს დედა-ენაზე, დაავალეთ, რომ თვითონ ერთმანეთთან ამავე ენაზე ილაპარაკონ, აკითხეთ ქართული წიგნები—სულ ერთია, რაც ჩავივარდეთ ხელში, ესაუბრეთ მუდამ საქართველოზე, უამბეთ ქართული ამბები, ზღაპრები, არაკები, ლეგენდები, გააცანით შინაარსი იმ ქართულ წიგნების, რომლებიც წაგიკითხავთ და დღეს ხელთ არა გაქვთ, აუხსენით მამულიშვილური მოვალეობა, შეაგნებთ ეროვნული ღირსება, შეაყვარეთ თავისი თავი, ჩაუნერგეთ, რომ ქართველობა ქართველისთვის უკეთესი ღირსებაა.

თავს ნუ იმართლებთ იმით, რომ აქ ქართული სკოლა არა გვაქვს, ქართული წიგნი ძნელად საშო- ვია, რომ ღარიბი ხართ. არა. მიუხედავად ყოველი დაბრკალებებისა, თქვენ შეგიძლიათ თქვენს შვილს ქართველობა შეუწახათ. და თუ ასე არ მოიქეცით. თქვენ ჰკისრულრბთ უდიდეს დანაშაულს—დაღუ- პავთ შვილს მორალურ-გონებრივად და ფიზიკურა- დაც!

ბ. ფინცხალავა.

წერილი აშერიკიდან

შეერთებულმა შტატებმა ამ დღეებში სამი ცნო- ბილი და ისტორიული პიროვნება დაკარგა: 1) კალ- თვალა მფრინავი ვილი პოსტი, რომელმაც თავის ჰაეროპლანით ორჯერ ირგვლივ შემოიფრინა დედა- შიწა; 2) ნიუიორი კომედიანტი და ხუმარა ვილი რო- ჯერსი, რომელმაც მისი მეგობარი ვილი პოსტთან ერთად შემოიარა ქვეყნიერობა და მესამე—ფედერა- ტული სენატის წევრი და ლიუზიანა შტატის დიქ- ტატორი პიუი ლონგი.

პირველი ორი ტრადიკულად დაიმსხვრა ალიას- კის გადაფრენის დროს. მესამე კი ლიუზიანის ექიმმა ვეისმა რევოლვერით მოკლა ქალაქის თვითმართვე- ლობის შენობაში. თვით ვეისი მაშინათვე მოკლუ- ლი იქნა ლონგის დამცველების მიერ.

ამ პირების სიკვდილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ შეერთებულ შტატებში. პირველში ერმა დაკარგა მეტი გამბედავი და მცოდნე მფრინავი. ვილი როჯერსი კი უბადლო საყვარელი პიროვნება იყო კერძო ცხოვრებაში და სცენაზე- უბრალო და დემოკრატი, ის მეგობარი იყო ყველა- სი—დაწყებული ბავშვებიდან გათავებული პრეზი- დენტით. ხუმრობით და სიცილით სიმართლეს ეუბ- ნებოდა ყველას თავის რადიო-სიტყვებში და სიამო- ვნებას ჰძენდა სცენაზე. სხვათა შორის, რუსეთიდან დაბრუნებისას მან ლმობიერად განაცხადა, რომ როგორც რუსების ყოფილ სტუმარს ბევრი არ მეთ- ქმის, ერთი რამ მაინც უნდა ვთქვა, რომ რუსებს ხორცმეტის დაკლება არ სჭირათ, როგორც ჩვენ ამერიკელ ქალებს; მე არ მინახავს არავინ გამოწე- ული მუცელით, პირიქით, ყველას ქონდა ჩაჯარდნი- ლი...

მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა დიქტა- ტორი პ. ლონგი, რადგან ჩვენი სამშობლო მსხვერ- პლია დიქტატორობის.

ამერიკელები ძველი რომაელებივით მკვდრის თავყანისმცემელი არ არიან და ლონგის სიკვდილის მერე დაიწერა და ითქვა ბევრი რამ—კარგი და გლა- ხა, უფრო მეტი უკანასკნელი, ალბად სიმართლის- თვის, გაკვეთილისთვის. თითქმის თვე გადის ლონ- გის მოკვლის მერე და ჯერ მანვე კომენტარიები არ შეწყვეტილა განუთების ფურცლებზე. ეპიტეტები მრავალფეროვანია: «ფილოსოფოსი», «კლოუნი», «დემაგოგი», «სტიტსმენი», «დემონი», «უბრინცი-

პო», «დაუნდობელი», «კომბინატორი», «სამიშარი», «უხეში» და სხვა...

ლონგი იყო 42 წლისა, რომ მოკვდა. დაბადებუ- ლი ღარიბი ფერმერის ოჯახში ის ადრე სტოვებს სახლს. ქუჩაში ვაჭრობით თავს ირჩენს და თან სწა- ვლობს. 20 წლისა იყო, როცა საშვალო სკოლა გაუ- თავებულმა თხოვნით მიმართა უმაღლეს სამსაჯუ- ლოს, რომ ნება დაერთოთ საექვილო გამოცდების- თვის, რომელიც რვა თვეში ჩააბარა.

იწყება მისი საოცარი კარიერა. რამდენჯერმე არჩევნებში დამარცხებული ის იწყებს თავის მომხ- რეების დარაზმვას და დემაგოგობას და ბოლოს თავის ლიუზიანის შტატის გუბერნატორად ირჩევენ, რომლიდან ის მალე გადაყენებულ იქნა ისევ თავის შტატის კანონმდებელ სენატის მიერ.

მიუხედავად ასეთი სამარცხინო დამარცხებისა ლონგი აასკეცებს თავის ენერგიას და თავის მომხ- რეების გაყვანას ახერხებს სენატში, ქალაქის თვით- მართველობაში, პოლიციაში და სხ. (თანაც კომბი- ნატური ნიჭით საეჭვო წყაროებიდან მდიდარი ხდება). არჩევნების დროს ყუთებთან და ქაანგარი- შეებად მხოლოდ მისი მომხრენი არიან. სკვარად ის იგზავნება ფედერატული სენატის წევრად ვაშინ- გტონში. ნიუიორი, მაგრამ არა ჰკვიანი, ენერგიით სავეს ლონგი იყო მოუხვეწარი პიროვნება. წინამ- დევი ბოლშევიკების, სოციალისტების, რესპუბლი- კანელების, ხანდახან დემოკრატებისაც, რომელთა პარტიაში თავის თავს თვლიდა, ის ახალ არჩეულ პრეზიდენტს რუნველტს მხარს უჭერს, მაგრამ მალე პირს იბრუნებს და სასტიკი მოწინააღმდეგე ხდება. არც ერთი მომხრეს არმყოლი ის სარგებლობს სე- ნატის ლიბერალურ თავისუფლებას და სიტყვათა დემონსტრაციას მიმართავს, ეგრედ წოდებულ «ფი- ლიბუსტრობას». გასულ მისში სენატის კათედ- რიდან 15 წახ. საათი განუწყვეტლად ილაპარაკა, რომ რაღაც კანონის გასვლისთვის ხელი შეეშალა, რასაც ვერ მიაღწია, მაგრამ აგვისტოს დამლევს, როცა სენატს მხოლოდ ექვსი საათი ურჩებოდა თავის სესიის გათავებამდე და 75 მილიონი დოლარი მთავრობის სახარჯოთ უნდა გადაეწყვიტა, ლონგმა სიტყვა აიღო და ეს ექვსი საათი ილაპარაკა. განსა- ზღვრულ დროზე სენატი დაიხურა, კმაყოფილმა ლონგმა სიტყვაც შეწყვიტა.

სენატის გარედაც ლონგი დიდი ენერგიით ეწეო- და მთავრობის წინააღმდეგ პროპაგანდას. განსაკუთ- რებით რადიოს საშუალებით, რომელს დიდი ფული უნდა და რომლის საშუალება მას ახლა ჰქონდა. თავის საინტერესო, მაგრამ დემაგოგიურ. სიტყვებში, რომელს მილიონობით ხალხი უსმენდა, ის ლანძღა- ვდა მთელ მთავრობას და პირადად პრეზიდენტსაც, რომელს სხვათა შორის, მატყუარას და გაიძვერას უძახდა. ლონგის დემაგოგობას საზღვარი არ ჰქონდა. კარგი მცოდნე უბრალო ხალხის ფსიქოლოგიას ის თითქმის მის დამცველად გამოდიოდა და რუსეთის ბოლშევიკებისათვის უზომო დაპირებებს იძლეოდა («პუტრი, თავისუფლება და მიწა», რომელს რუ- სის ხალხი მაშინ გამოეთხოვა, როცა ბოლშევი-

კებს გაჰყვა). განსაკუთრებით ღონგმა თავი ისახელა მისი ღონგით: «უწიარე სიმდიდრესა». ღონგის აზრით ყოველ ოჯახს ხუთი ათასი დოლარი უნდა დარიგებოდა, ერთი მილიონი დოლარის ნაკლებ ქონებას ბაჟი არ უნდა დადებოდა (ეს ამერიკის მასტაბითაც დიდ ქონებას) და მაქსიმუმი ქონებისა ხუთი მილიონით უნდა განსაზღვრულიყო. ამ ღონგებში ღონგი პრეზიდენტობაზედაც კი ოცნებობდა. ახლა გამოვიდა მისი წიგნი «ჩემი პირველი დღეები თეთრ სასახლეში», რომელიც მას დაწერილი ჰქონია და გამოცემა არ დასცალდა. წიგნი სავსეა ფანტაზიით და აუსრულებელი მარტივი ღონგებით, უბრალო ხალხის გასაბრძოლებლად...

ღონგის შემოღობულ შტატში მისი მომხრეები უხეშად თარეშობდნენ, რომლებს ღონგი ვაშინგტონიდან ათასი მილის მანძილზე განკარგულებებს აძლევდა. მათი მოწინააღმდეგენი დემოკრატიული საშუალებებით მებრძოლნი ფონს ვერ გადიოდნენ, ღონგის ქსელს ვერ არღვევდნენ. ფედერატული სენატის სესიის გათვლებისას ღონგი ლიუზიანაში გაეშურა და «თავის» ბენატში მტრების საწინააღმდეგო კანონების გაყვანა შეუდგა. მოთმინებიდან გამოსულმა ცნობილმა ქიმიკმა, მიუხედავად ექვსი დამცველისა, ღონგი რევოლუციური მოკლა. მთელი შეერთებულ შტატების პრესამ დაჰგმო და იწყინა ასეთი მეთოდი ბრძოლისა, ასეთი ბედი პატარა დიქტატორისა. მთელი ერი თვალყურს ადევნებდა, — რით გათავდებოდა ღონგის ბრძოლა და კარიერა. უმეტესი ინტელიგენტური ნაწილი მოყვლიდა ახლა მომავალში ღონგის იდეების გაკოტრებას და დემოკრატიზმის გამარჯვებას...

მკითხველს გაუკვირდება, — რატომ ფედერატულმა მთავრობამ არ მიიღო ზომები და ღონგი არ ალაგმა. სწორედ აქ არის შეერთებულ შტატების დემოკრატიულ კანონების სისუსტე და სიძლიერე. ყოველი შტატი დამოუკიდებელია თავის მართველობაში. მას აქვს საკუთარი სენატი, საკუთარი სამსახული, პოლიცია და სხვა. ამიტომ ლიუზიანის შტატის ორ მილიონზე მეტი მცხოვრების გამგენი ხელუხლებლნი იყვნენ ცენტრალურ მთავრობის მიერ, თუ მათი მართველები არ დაარღვევდნენ ფედერატულ კანონებს. მაგალითისთვის მოვიყვანო ახლახან მომხდარ ინციდენტს. როცა გერმანიის გემი «ბრემენი» ნიუორკის ნავთსადგურში გაჩერდა «სვასტიკის» (პიტლერის ნაციონალ-სოციალისტების) დროშით, ნიუორკის კომუნისტებმა, მომეტებულად ებრაელებმა, დემონსტრაცია გამართეს და დროშა წყალში გადააგდეს. პოლიციამ ხუთი დემონსტრანტი დაატუსაღა და პასუხისგებაში მისცა. მოსამართლემ ბროდსკიმ ყველა გაანათავისუფლა და თან დაუმატა, რომ არავითარი დანაშაულებაც არ არის «პირატების» (ზღვის მეკობრეების) დროშის გლანძღვა. გერმანიის ელჩმა პროტესტი განაცხადა. სავარეო მინისტრმა კ. პოლმა ბოდიში მოიხადა და აუხსნა, რომ მეტი არა შეიძლება რაღა, რადგან მოსამართლე ბროდსკი ნიუორკის თვითმართველობის ქვეშ არის და ჩვენი კანონებით ცენტრალური

მთავრობა პასუხს ვერ მოსთხოვს. ამის შედეგი იყო პიტლერის მიერ «სვასტიკის» ეროვნულ დროშად გამოცხადება.

რომ კომუნისმი იყო ძველი, პრიმიტიული წესი ცხოვრებისა, თითქმის ყველამ იცოდა, მაგრამ ბევრს არ ეცოდინება, რომ ასეთი წესი ჯერ კიდევ ამერიკის წითელ კანიან ინდიელების ერთს ჯგუფს ჰქონია; რომლის დასაწყისი უხსოვარ დროიდან მოდისო.

«ფორლდ ტელეგრაფი»-ს კორესპონდენტი ასე აგვიწერს: «კი-თუ-უ-უ» (ინდიური სახელია) ორგანიზაცია «ქოროხი»-ს ინდიელებისა (ალბად ჩვენს მდინარე ქოროხთან არაფერი საერთო აქვს) სთვლიან თავის თავს უძველეს კომუნისტებადო. მათი მამაპაპის გადმოცემიდან იციან, რომ რამდენიმე ასეულ წელზე მეტია რაც ერთად ცხოვრობენ, ერთად მუშაობენ, ერთად ჭამენ, და ტანისამოსსაც ცოტას იცვამენო.

რუსეთის ბოლშევიკებში იმით განიზრახვიან, რომ მათ არა ჰყავთ მსტოვრები (ჯაშუშები), არა აქვთ საპყრობილე და გადასახლებით დასჯა. ეს ველური და პრიმიტიული ხალხი მეტად წესიერია.

თურმე მათაც ოქტომბერში აქვთ დიდი ზეიმობა: შვიდი წმინდათა-წმინდის გაუქრობელი ცეცხლის გარშემო ცეკვა და სიმღერა იმართება. თურმე თითქმის ასი წლის წინეთ, 1838 წელში, როცა მათ მოელოდათ გადასახლება (თეთრების ძალდატანებით) ოკლაჰომა შტატიდან, სადაც ისენი ახლაც ცხოვრობენ. მათი შვიდი ქურუმი ავიდა თითო თითოდ მთაზე სალოცავად. ჯერ ავიდა უფროსი, დაანთო იქ ცეცხლი, ილოცა შვიდ დღეს. ასე მოიქცენ დანარჩენებიც სათითაოდ. ასე დაინთო შვიდი ცეცხლი, რომელიც არ გამქრალა იმ დროიდან. ყოველი წლის ოქტომბერში ეს ინდიელები დაკლავენ თეთრ მამალს (ალბად ნიშნავს თეთრ კაცს) და ასხამენ სისხლს მათ შვიდ ცეცხლს. მერე ცეკვავენ და მღერაინ ამ შვიდი ცეცხლის გარშემო. ეს არის სიმბოლო მათი გადარჩენისა გადასახლებისაგან თეთრების მიერ. უწინ აქაურ თეთრებსაც ჰქონიათ ჩვეულებად წითელ კანიანების მიწა წყალის წართმევა და მათი გადარეკვა. ახლა ინდიელებს მთავრობა იცავს, მიმიჯნული მიწა წყალი აქვთ, რომლის შეხება შეერთებულ შტატების კანონის ძალით აღკრძალულია «არა ნამდვილ» ამერიკელებისთვის...

ნაურო.

ზ რ ა ნ კ ფ ი ლ ი ო ლ ი

ქართვლები საზღვარგარეთში

კიდევ დაგვაკლდა ერთი საუკეთესო მეგობართაგანი ამ ადამიანის უცნაურ გარდაცვალებით. ნიკიტრი ყურნალისტი და მწერალი კაცი, ფრანკ ფილიოლი ცნობილი იყო უმთავრესათ როგორც პრესის დიდი ორგანიზატორი. კერძოდ, გრძელი სიტყვის მოკლეთ გამოთქმა მისი ხელობა იყო. ფილიოლი იყო შვეიცარიის ტელეგრაფის სააგენტოს ერთ დამარსებელთაგანი. პირველ ათი წლის განმავლობაში ის რედაქტორობდა ამ სააგენტოში (1895-1909). შემდეგ გახდა მის მთავარ დირექტორათ და 22 წელი ბერნში გაატარა ამ თანამდებობაზე. ამ თანამდებობას თავი დაანება 1920 წ. ოქტომბერში ერთა ლიგის პირველი ყრილობის განსისას ყენევაში, სადაც სააგენტოს ესპიროლებმა გამოცდილი და სანდო ხელმძღვანელი. ფილიოლმა ეს სიამოვნებით აირჩია, ის აქ იყო დაბადებული და აღზრდილი. აქ დაბრუნება დიდი ხანია სწყურდა. მთელ ამ ხნის განმავლობაში ფილიოლი წარმოადგენდა მუდმივად ხსენებულ სააგენტოს ერთა ლიგის წინაშე ყენევაში, სადაც მას არა ერთი სამსახური გაუწევია ჩვენი საქმისათვის, რომელსაც ის ძალიან თანაუგრძობდა. ეს თანაგრძობა იწყება 1919 წ. თებერვლიდან, ე. ი. მასთან პირველ ურთიერთობის დაწყებისთანვე, აი რა პირობებში:

როცა 1919 წ. დამოუკიდებელმა საქართველომ თავისი დელეგაცია პარიზში ზავის კონფერენციაზე გაგზავნა, ალიების მისიებმა, რომელთა ხელში სტამბოლი იმყოფებოდა, იქ გააჩერეს, საფრანგეთში არ გაუშვეს. გავიგე თუ არა ეს ამბავი აკ. ჩხენკელისაგან, რომელიც იმ დროებით შვეიცარიაში იმყოფებოდა, გავემზადე შესაფერი კომუნიკე და პრესის წარმომადგენლებს გადავეცი. მაგრამ ვინაიდან ეს ხანა (ომის ვითარების პირველი თვეები) იყო დრო საშინელი იჭვიანობის, უნდობლობის, გამარჯვებულ ალიების წინაშე შიშის და კრთალვის, პრესამ ჩემი გადაცემული კომუნიკეს გამოქვეყნება ვერ გაბედა. მაშინ მოვხანებე შვეიცარიის ტელეგრაფის სააგენტოს დირექტორი ფილიოლი. ჩვენი პირველი შეხვედრა ცხარე დისკუსიით და ჩხუბით დაიწყო საერთო მდგომარეობაზე და შექმნილ მონურ სულიისკვეთებაზე. ვათავდა კი მეგობრულ მუსაიფით, რომლის განმავლობაში გავაცანი საქართველოს საკითხი, გადავეცი კომუნიკე. ჩემს დაჟინებით მოთხოვნაზე ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს მაინც შემპირდა გადაეცემ პრესასო. მართლაც მეორე დღეს ყველა ქვეყნების გაზეთებში იყო ცნობა, რომ საქართველოს დელეგაცია პარიზში ზავის კონფერენციაზე მიმავალი სტამბოლში მოვიდა. ამის შემდეგ ალიების მთავრობებმა დაუყოვნებლივ ბრძანება მისცეს თავიანთ მისიებს სტამბოლში, საქართველოს დელეგაცია პარიზში გაეშვათ.

ფილიოლი, მიუხედავად მოხუცებულობის და საქმეებით დატვირთულობისა, ხშირად ესწრებოდა საქართველოსადმი სათანაგრძობო მანიფესტაციებს და ამითაც გვიმტკიცებდა თავის ერთგულ მეგობრობას.

6 ოქტომბერს შედგა საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციის საზოგადო კრება.

სანამ კრება დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდა, საზოგადოების თავმჯდომარემ ბენმა დავსხირტულამდე წინადადებით მიმათა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ახლად არადაცვალებულ ალ. მდივნის და ჯოტო შერვაშიძის ხსოვნისათვის.

ამის შემდეგ კრებამ ზოგი შესწორებებით დაამტკიცა წინა კრების ოქმი და გადასა და დღის წესრიგზე. თავმჯდომარემ კრებას გაეცეთა ვრცელი მოხსენება იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნილა ასოციაციაში მას შემდეგ, რაც კოლონიის ერთმა ნაწილმა აირჩია ეგრედ წოდებული «ლტოლივითა საბუთ». ამ მოხსენებიდან კრება დაწვრილებით გაეცნო იმ არასაკადრის და ზამოსაწონ ნაბიჯებს, რომელნიც გადაუდგამთ «აქედებს» მოხსენების დასკვნაში თავმჯდომარემ ანაცხადა, რომ წინა კრებაზე მომხდარი არჩევნები შეგეობას არ მიახნია კანონიერად.

სამწუხაროდ კრებამ ვერ შესძლო ვაქსშით განხილა მოხსენება და შესაფერი მსჯავრე გამოეტანა: უკანონოდ არჩეულებმა როგორცკი დაინახეს, რომ კრების დიდი უმრავლესობა მათ სასარგებლოდ არ იყო განწყობილი, ობსტრუქციას მიმართეს და თავმჯდომარე იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო განცხადებით, რომ მომხდარი არჩევნები ამიერიდან არ არსებულად ითვლება და საბუთს საკითხის მოგვარებას აიღებს თავის ხელში თვითონ გამგეობა. ამ განცხადებას კრების დიდი უმრავლესობა სრული თანაგრძობით შეხვდა.

X.

სოც. ინტანაციონალის დადგენილება

ამ თვის პირველ რიცხვებში ბრიუსელში შესდგა სოციალისტური ინტერნაციონალის ეგზეკუტივის სხდომა, რომელმაც ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის და დანიის კატეგორიული მოთხოვნით უარყო კომუნიტებთან საერთო მუშაობა «ომისა და ფაშისმის» წინააღმდეგ.

წმილი რედაქციის მიმართ

ბატლნ რედაქტორ!

გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და წერილობით თუ პანაშვილზე პირადათ დასწრებით თანაგრძობა გამოგვიცხადეს ჩვენთვის უძვირფასესი მამის თავჯოტო შერვაშიძის გარდაცვალების გამო.

პატივისცემით შვილები

ძიკა და მიმა შერვაშიძეები.